



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ვადასტურებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობითი ანგარიშგება, 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის, არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2024 წლის 10 იანვარი
თბილისი, საქართველო

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობითი
ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული
ნახევარწლიური პერიოდისათვის

ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ („კრისტალი“) საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და ლიდერი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. „კრისტალი“ მართავს 395 მილიონიან სასესხო პორტფელს. თავის 48 ფილიალში დასაქმებული თითქმის 1,000 თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 115 ათასამდე უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალი“ ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ (მათ შორის, სალიზინგო) პროდუქტებსა და არაფინანსურ (კონსულტაცია და ტექნოლოგიები) მომსახურებას აწვდის. „კრისტალი“ რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება (B- Positive) მიიღო. გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza–საგან სოციალური რეიტინგი „A-“ მიიღო.

ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროექტებისთვის 2021 წელს კრისტალს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მთავარი ჯილდო გადაეცა. საერთაშორისო მიკროსაფინანსო ასოციაციამ (MFC) კომპანიის „მწვანე მიმართულება“ (ენერჯო ეფექტური კრედიტები და განვადებები) მსოფლიოს მასშტაბით 5 საუკეთესო ინიციატივას შორის დაასახელა. საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსში BARTA „კრისტალი“ საქართველოში მეოთხედ გახდა ჯილდოს მფლობელი. ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს „კრისტალს“ წარმატებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით და ცხადყოფს მის სამართლიან მისწრაფებას ბანკად ტრანსფორმირებისაკენ.

შინაარსი

სტრატეგიული ანგარიში	4
მიმოხილვა.....	4
ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები.....	5
კორპორაციული სტრატეგია.....	6
ბიზნესმოდელი.....	8
მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა.....	12
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	16
ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში.....	18
მმართველობითი ანგარიში	21
სამეთვალყურეო საბჭო.....	21
თავმჯდომარე.....	22
საბჭოს შემადგენლობა.....	23
კორპორაციული მართვა.....	27
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.....	28
მმართველი გუნდი (დირექტორთა საბჭო).....	32
კომიტეტების ანგარიშები.....	35
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები	40
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	40
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	41
ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	42
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	43
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	44
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	45
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	46
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	47
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	48
განმარტებითი შენიშვნები.....	49
დანართები	124

სტრატეგიული ანგარიში

„კრისტალის“ მისიაა მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან.

მიმოხილვა

„კრისტალის“ ხედვაა გახდეს ლიდერი ფინანსური ინსტიტუტი მიკრო და მცირე მეწარმეების მომსახურების სფეროში. ჩვენი მიდგომა სცდება საკრედიტო პროდუქტებზე ფოკუსირებას და მოიცავს ხელმისაწვდომობის გაზრდას ისეთ მრავალფეროვან სერვისებზე, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშები, ბარათები, ლიზინგი და არაფინანსური მომსახურება, მათ შორის, კონსულტაციის გაწევა ბიზნესისა და ფინანსების სფეროში, ტექნოლოგიური გადაწყვეტები, განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები. ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომლებიც „კრისტალს“ სურს ხელმისაწვდომი გახადოს თავისი მომხმარებლებისათვის.

„კრისტალი“ საქართველოში წამყვანი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. იგი მართავს 417 მილიონიან სასესხო პორტფელს და 48 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით 1,000 თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 120 ათასამდე უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის“ ინსტიტუციური აქციონერები არიან Incofin IM და Developing World Markets. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, რომელთა შორისაც არიან საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები.

ამავდროულად, კრისტალი აგრძელებს ალტერნატიული ბაზრების ათვისებას და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გაძლიერებას. 2023 წლის თებერვალში კრისტალმა 25 მილიონი ლარის მოცულობის კორპორაციული ობლიგაცია გამოუშვა, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე პირველ სერტიფიცირებულ გენდერულ ობლიგაციას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კრისტალი გამარჯვებულად გამოცხადდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ევროკავშირის მიერ ინიცირებული კაპიტალის ბაზრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რის შედეგადაც ბონდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი წილი დაუფინანსდა.

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

პარამეტრი	შედეგი 2023 წლის 6 თვისათვის
წმინდა მოგება	ლ'000 5,102
მთლიანი აქტივები	ლ'000 464,679
სასესხო პორტფელი	ლ'000 395,209
მთლიანი კაპიტალი	ლ'000 71,681
ROA	1.11%
ROE	7.35%
უმოქმედო სესხები	9.20%
რისკის ხარჯი	1.14%
ხარჯი შემოსავალთან მიმართებით	69.37%
ფილიალები	48
თანამშრომლები	989
მომხმარებლები	114,421

კორპორაციული სტრატეგია

მიკრობანკის მოახლოებული ლიცენზირების და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გახსნის ფონზე, ჩვენ ახლებურად შევხედეთ ჩვენს მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ამავდროულად, განვაახლეთ ჩვენი ბრენდის დაპირება, ჩამოვაყალიბეთ ახლებური ხედვა მომხმარებელთა სეგმენტის, პროდუქტებისა და იმ სერვისების მიმართ, რომელთა შეთავაზებასაც ვგეგმავთ.

„კრისტალის“ განახლებული მისიაა **გააძლიეროს მეწარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით**, რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

განახლებული ხედვის მიხედვით, „კრისტალი“ უნდა იყოს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“, როგორც **ბრენდის დაპირებაა, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა**, უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალურ მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

„კრისტალის“ **სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და, ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია**, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის კონვერტაციას, მობილურ ბანკს, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურებას როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით **სასოფლო სეგმენტზე, მიკრო და მცირე მეწარმეებზე**. მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, „კრისტალი“ გააგრძელებს მომხმარებელთა იმავე სეგმენტის მომსახურებას, თანდათან მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს ბევრად უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით და შექმნის მეტ ღირებულებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, სტრატეგიული ამოცანები შემდეგია:

1. წამყვანი პოზიციის მოპოვება ბაზრის მიკროსაფინანსო სეგმენტში და მაღალი ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.
2. ძირითად (მიკრო) მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში ბიზნესის წილის თანმიმდევრული ზრდა.


3. შემნახველი პროდუქტების დანერგვა, ფოკუსირება ძირითად მომხმარებლებზე ან იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც ამჟამად მცირე თანხა აქვთ დასაზოგი, მაგრამ არ აქვთ საბანკო გამოცდილება, ასევე მაღალი შემოსავლის მქონე პირებზე და კორპორაციებზე.
4. არსებული საკრედიტო პროდუქტების (სესხები, ლიზინგი და ა.შ.) შემდგომი განვითარება.
5. არასაკრედიტო პროდუქტების შემუშავება.
6. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და ოპერაციული პროცედურების განახლება ტრანსფორმირებული ინსტიტუტის საჭიროებების მხარდასაჭერად.
7. ძირითადი ბიზნესპროცესების დიგიტალიზაციისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ბიზნესმოდელი

„კრისტალი“ არის წამყვანი ქართული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას სთავაზობს.

ჩვენ ფოკუსირებული ვართ მიკროსაფინანსო მომხმარებლისათვის საუკეთესო და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებაზე ფილიალებისა და ციფრული არხების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს „კრისტალის“ ბიზნესმოდელს:



* სამომავლო პროდუქტები და სეგმენტები

ჩვენი საკრედიტო მიმართულება საცალო და ბიზნეს მომხმარებლებს პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს, ხოლო კომფორტული და ინოვაციური მიკროსაფინანსო გადაწყვეტილებები, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებით გათვალისწინებულ პერსონალიზებულ კონსულტაციებთან და განვითარებაზე მიმართულ სერვისებთან ერთად მომხმარებელთათვის განსაკუთრებულ გამოცდილებას უზრუნველყოფს.

ჩვენი არასაკრედიტო მიმართულება მომხმარებლებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, როგორცაა გადახდები, ფულადი გზავნილები, ვალუტის კონვერტაცია, დაზღვევა და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

„კრისტალის“ დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და მიღებულია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენს. გარდა ამისა, „კრისტალმა“ შეიმუშავა დაფინანსების ალტერნატიული წყარო, როგორცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება.

მნიშვნელოვანი სიახლეები

2023 წლის მე-3 კვარტალში კომპანია გეგმავს ლიცენზიის განაცხადის შეტანას საქართველოს ეროვნულ ბანკში, მიკრობანკის სტატუსის მოსაპოვებლად. 2023 წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად ემზადება სტრატეგიული ნაბიჯისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ ჩვენი სერვისები და უკეთ დავეჭიროთ მხარი ჩვენი მომხმარებლების ფინანსურ საჭიროებებს. მიმდინარე წლის მე-2 ნახევარში კომპანია ახორციელებს ყველა იმ სტრატეგიულ პროექტს და ინიციატივას რომელიც აუცილებელია მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების და წარმატებული ოპერირების დასაწყებად.

დაგეგმილ საბანკო ტრანსფორმაციის მოახლოებასთან ერთად კომპანიამ მოახდინა მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია რომლის შედეგადაც კომპანიის სტრუქტურაში გაჩნდა საოპერაციო დირექტორის პოზიცია. საოპერაციო დირექტორატში კონცენტრირდება ყველა ის მიმართულება თუ ფუნქცია რომელიც მხარდაჭერას გაუწევს არსებულ და მომავალ ბიზნეს სერვისებს. საოპერაციო დირექტორის პოზიციაზე ივნისის თვიდან შემოგვიერთდა ნინო ფანჯიკიძე, რომელსაც ფინანსურ სექტორში მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება გააჩნია.

ტრანსფორმაციის მზადების პარალელურად გაგრძელდა კრისტალის ბიზნეს-ეფექტურობის დახვეწა რაც აისახა კაპიტალზე ამონაგების (ROE) და ხარჯთეფექტურობის (Cost to Income) ინდექსის განგრძობად გაუმჯობესებაში. 2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კაპიტალზე ამონაგები გაიზარდა 12.40%-დან 15.20%-მდე, ხოლო ხარჯეფექტურობის ინდექსი გაუმჯობესდა 76.84%-დან 69.06%-მდე რაც მკაფიოდ მეტყველებს მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ქმედებების მართებულობაზე.

ამავდროულად, კრისტალმა გააგრძელა ალტერნატიული კაპიტალის ბაზრების ათვისება და 2023 წლის თებერვალში 25 მილიონი ლარის მოცულობის კორპორაციული ობლიგაცია გამოუშვა, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე პირველ სერტიფიცირებულ გენდერულ ობლიგაციას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კრისტალი გამარჯვებულად გამოცხადდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ევროკავშირის მიერ ინიცირებული კაპიტალის ბაზრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რის შედეგადაც ბონდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი წილი დაუფინანსდა.

2023 წელი, გამოწვევებით აღსავსე გარემოს მიუხედავად, ბიზნესისთვისაც შედეგების გაუმჯობესების წელიწადი იყო.

2023 წლის 1-ელ და მე-2 კვარტალში, კომპანიამ ოქროთი უზრუნველყოფილი პორტფელის ოპტიმიზაცია განახორციელა. შედეგად, ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების გარეშე, საკრედიტო პორტფელი 20 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც 5,3 %-იან ზრდას შეადგენს. 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საკრედიტო პორტფელმა 404,3 მლნ ლარს მიაღწია. აქტიური საკრედიტო კლიენტების რაოდენობა კი 115,000 გადასცდა. 2023 წლის 1-ელ ნახევარში კრისტალი 79,000-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა.

2023 წლის 1-ელ კვარტალში ქსელის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაინიშნა. გადალაგდა რეგიონული მოწყობა, რის შედეგადაც 5 რეგიონი ჩამოყალიბდა და შესაბამის პოზიციებზე 2 ახალი რეგიონული მენეჯერი დაინიშნა.

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მხარდაჭერითა და გაყიდვების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ივნისის თვეში ფილიალებში გაყიდვების სისტემა გადაიხედა. სატესტოდ 4 საპილოტე ფილიალი შეირჩა, სადაც პროდუქტების გაყიდვა და კლიენტების მომსახურება ახალი სტრუქტურით დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს აქცენტი აგრო და მიკრო დაკრედიტებაზე გაკეთდა - წლის განმავლობაში აგრო და მიკრო დაკრედიტება დაახლოებით 20 მლნ ლარით გაიზარდა, რაც 48%-ით აღემატება 2022 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს.

2023 წელი პროდუქტების განახლების კუთხითაც საკმაოდ აქტიური იყო. წლის 1-ელ ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ავტოპროდუქტის მიმართულებით, სრულად განახლდა მისი მახასიათებლები და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს მოერგო. პროდუქტის გაყიდვაში მთელი ქსელი ჩაერთო და მომხმარებელთა უფრო ფართო სეგმენტისათვის გახდა ხელმისაწვდომი. შედეგად, პორტფელი 30%-ით გაიზარდა და მე-2 კვარტლის ბოლოს 20 მლნ ლარი შეადგინა.

კრისტალმა, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციამ, მიიღო გადაწყვეტილება დაენერგა სპეციალური საკრედიტო პროდუქტი საქართველოში იძულებით მიგრირებული იმ უკრაინელებისათვის, რომელთაც სურთ დაიწყოთ ან განავითარონ მცირე ბიზნესი საქართველოში. მე-2 კვარტლის ბოლოსთვის, 15 უკრაინელი მოქალაქე დაფინანსდა, ჯამში 100,000 ლარით.

2023 წლის პირველ ნახევარში, მთავარი ფოკუსი გაკეთდა 30,000 ლარამდე სესხის გაცემის პროცესის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე. ორივე კვარტლის მონაცემით, აღნიშნული მიმართულებით პორტფელი ჯამში 21 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც 38%-ით მეტია წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

კომპანია წარმატებით ახორციელებს DFC/Sida საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში სესხების გაცემას. გარანტიის ქვეშ გაცემულია 7,500-ზე მეტი სესხი, 29 მლნ ლარის მოცულობით. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სირთულებების ფონზე, საგარანტიო სქემა გარკვეულ მოქნილობასა და სითამამეს მატებს კომპანიას დაფინანსებისას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი მომხმარებლის ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსზე. 2023 წლის 1-ლი და მე-2 კვარტლის მანძილზე, კომპანიამ საგარანტიო მოექანიზმით 40-მდე პრობლემური სესხის ანაზღაურება შეძლო, რომელთა მოცულობაც დაახლოებით 63,000 ლარია.

კომპანია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) და სხვა ჩართულ მხარეებთან ერთად აქტიურად განაგრძობს მუშაობას ხე-ტყის გაჩეხვის საწინააღმდეგო მასშტაბური პროექტის "Eco Georgia"-ს მიმართულებით. კრისტალს წვლილი

შეაქვს მსხვილმასშტაბიანი რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტის - ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის ბაზრის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ კრისტალი ერთადერთი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც პროექტის ოფიციალურ მხარედ არის ჩართული.

კომპანია აქტიურად განაგრძობს მწვანე მიმართულების განვითარებას. 2023 წლის 1-ელი და მე-2 კვარტლის მანძილზე, მწვანე მიზნობრიობის დაფინანსებით გაცემული თანხა 7 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

2023 წლის 1-ელ ნახევარში მნიშვნელოვნად გამარტივდა ფულადი გზავნილების მიღების პროცესი, რამაც საშუალება მისცა კომპანიას 92,505 ფულადი გზავნილის ტრანზაქცია შეესრულებინა.

კომპანია ფულადი გზავნილების სისტემის - „იუნისტრიმის“ პირდაპირი აგენტი გახდა, რამაც საშუალება მისცა გაეზარდა იუნისტრიმის გზავნილების მომხმარებლების მომსახურება და მიეღო მეტი შემოსავალი. ასევე დაინერგა „ვესტერნ იუნიონის“ გზავნილების ოფლაინ მოდული.

კომპანიამ დაიწყო ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაციის კრედიტ ინფოში გადაცემის სერვისი და ამით, პროცესი ეროვნული ბანკის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოიყვანა.

ჯამურად, 2023 წლის 1-ელ ნახევარში, კრისტალმა ფულადი გზავნილებიდან 281,600 ლარამდე შემოსავალი მიიღო, რაც დაახლოებით 10%-ით მეტია წინა წლის 6 თვის მონაცემთან შედარებით.

კრისტალი კვლავ განაგრძობს მომხმარებელთა სიცოცხლის დაზღვევას. 2023 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს, დაზღვეული პორტფელის მოცულობამ დაახლოებით 340 მლნ ლარი შეადგინა, რაც ჯამური პორტფელის 84%-ია, მაშინ როცა 2022 წლის იგივე პერიოდში დაზღვეული იყო პორტფელის 73%. 2023 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს ახალი სადაზღვევო პროდუქტი - ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევა დაინერგა, რომლის გაყიდვაც უკვე დაიწყო.

სალაროს თანამშრომლების ცოდნისა და კვალიფიკაციის შეფასების მიზნით, 2023 წლის აპრილში საკვალიფიკაციო ატესტაცია ჩატარდა.

2023 წლის მაისში, გარკვეული ოპერაციებისა და ლიმიტების ჭრილში, კლიენტების სმს კოდით მომსახურება ჩაეშვა, რამაც ფურცლის ხარჯის დაზოგვა, მომსახურების დროის შემცირება და შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესება განაპირობა.

2023 წლის მაისში, ფინანსური ანალიზის საფუძველზე ისნის სერვის ცენტრი დაიხურა.

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობა

რისკის მართვის ჩარჩოს ძირითადი პრინციპები

რისკის მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზე და საუკეთესო პრაქტიკაზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შემდეგს:

- კომპანია დროულად იყოს ინფორმირებული არსებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
- მოახდინოს შესაძლო დანაკარგების პრევენცია და ინციდენტის ეფექტიანი მართვა;
- შექმნას გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის სანდო საფუძვლები;
- გაზარდოს მიზნების მიღწევის ალბათობა;
- გააუმჯობესოს კონტროლი, ოპერაციული ეფექტიანობა და ორგანიზაციის მდგრადობა;
- შესაბამისობაში იყოს მარეგულირებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- რისკის მართვის სისტემა თანხვედრაში უნდა იყოს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიასთან და ხელს უწყობდეს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

რისკების მართვის სისტემა ემყარება სამი დონის დაცვის პრინციპს, რომლის ფარგლებშიც სამივე დონე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

- პირველი დონე - ბიზნეს ერთეული, ოპერაციული მენეჯმენტი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებში რისკების მართვისა და კონტროლზე.
- მეორე დონე - რისკის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან -რისკის მართვის სისტემის შემუშავებაზე და განახლებაზე, რისკის მართვის ინსტრუმენტების დანერგვაზე
- დაცვის მესამე დონე - დამოუკიდებელი შიდა აუდიტი, რომელიც გასცემს რწმუნებას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურობის შესახებ.

ძირითადი რისკები და მათი მიტიგაცია

საკრედიტო რისკი

საფრთხე იმისა, რომ მსესხებელმა ან კონტრაგენტმა შესაძლოა ვერ შეასრულოს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულება.

საკრედიტო რისკი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რადგან მან შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე.

რისკის მიტიგაცია

კომპანიაში დანერგილია საკრედიტო რისკის მართვის გამართული სისტემა:

- საკრედიტო პოლიტიკა/რისკის აპეტიტი - კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც სამიზნე სექტორებსა და რისკის აპეტიტს განსაზღვრავს. 2023 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებას.
- არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესია ანდერაიტინგი, რომელიც კომპანიას საკრედიტო პოლიტიკის მოთხოვნების შესრულებაში ეხმარება. 2023 წლის პირველ ნახევარში ანდერაიტინგის სრული ცენტრალიზაცია დაიგეგმა, რაც 2023 წლის მეორე ნახევარში დასრულდება. მოცემული ცვლილება უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ანდერაიტინგის პროცესის სტანდარტიზაციას და ეფექტურობის ზრდას.
- 2023 წელს კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკა დაინერგა, რომელიც კონტრაგენტის რისკის შეფასების მონიტორინგსა და შესაბამისი ლიმიტების მართვას უზრუნველყოფს.

საოპერაციო რისკი

რისკი დანაკარგისა, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესებით, ასევე ადამიანებითა და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით. აღნიშნული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ არ განიხილავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.

კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საოპერაციო რისკების მართვას, რადგან გამართული საოპერაციო რისკების მართვის პროცესი ხელს უწყობს კომპანიის ეფექტურობის ზრდას.

რისკის მიტიგაცია:

2023 წლის პირველ ნახევარში განახლდა საოპერაციო რისკის მართვის შემდეგი ინსტრუმენტები:

- ახალი რისკების მართვის (NRA) პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ახალი რისკების სწორად იდენტიფიკაციასა და შეფასებას.
- დამდგარი რისკების მონაცემების (RED) შეგროვება, რაც კიდევ უფრო პროაქტიული ხდება და ხელს უწყობს კომპანიის შიგნით ჩართულობასა და ცნობადობის ამაღლებას.

შესაბამისობის რისკი

საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან რეპუტაციული ზიანის რისკი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და კრიტიკულია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში, კომპანიის მაღალ რეპუტაციასა და სანდოობას ქმნის. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის უმთავრესი პრიორიტეტია უზრუნველყოს ყველა ბიზნეს პროცესის რეგულაციებთან შესაბამისობა, ასევე ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობა რეგულატორთან.

რისკის მიტიგაცია

- 2023 წლის პირველ ნახევარში განახლდა შესაბამისობის რისკის მართვის პოლიტიკა. პოლიტიკა უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ხედვის დანერგვას კომპანიის მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, ქმნის შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩოს.
- შესაბამისობის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიში წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკი

რისკი, რომ შესაძლოა ბანკმა ვერ შეძლოს დათქმულ ვადაში ვალდებულებების დაფარვა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მუდმივად აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი აღებული ვალდებულებების დასაფარად, არსებობს რისკი, რომ ბაზარზე ცვლილებების გამო შესაძლოა საფრთხე შეექმნას დაფინანსების უწყვეტობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კომპანიას დანერგილი ჰქონდეს რისკის შემსუბუქების ინსტრუმენტები.

რისკის მიტიგაცია

- 2023 წელს განახლდა ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა. იგი სრულად შეესაბამება ბაზრის საუკეთესო სტანდარტებს და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს.
- კომპანია რეგულარულად ამზადებს სტრესტესტებს და გეგმავს შესაბამის ნაბიჯებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი, რაც გამოწვეულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით.

სავალუტო რისკის რეალიზების შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადოს, ასევე საფრთხე შეექმნას კომპანიის ბიზნეს ამოცანების შესრულებას. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკის შეზღუდვა.

რისკის მიტიგაცია

- 2023 წელს განახლდა სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა. იგი სრულად შეესაბამება ბაზრის საუკეთესო სტანდარტებს და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად.

საპროცენტო რისკის მართვა საბაზრო რისკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც დიდწილად დამოკიდებულია ბაზარზე არსებული საფასო განაკვეთის ცვლილებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თანაფარდობაზე.

მნიშვნელოვანია, ბალანსში კომპანიას ისე ჰქონდეს ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის თანაფარდობა დაცული, რომ დროულად შეძლოს ბაზარზე საფასო ცვლილებების ასახვა თავის აქტივებში.

რისკის მიტიგაცია

- 2023 წელს განახლდა საპროცენტო რისკის მართვის პოლიტიკა. იგი სრულად შეესაბამება ბაზრის საუკეთესო სტანდარტებს და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს.
- ასევე შემუშავდა საპროცენტო რისკის შეფასების მოდელი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

1) ქალთა გაძლიერება და ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერა

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის YES-Georgia-სა და თეთრი სახლის ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივის ფარგლებში, ჰოლანდიური Buzz Women Global-ის საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული მასშტაბური კომპონენტის "Buzz Georgia/ბაზ-საქართველოს" სამეწარმეო ტრენინგების წყალობით, კრისტალმა 2020 წლიდან დღემდე 3,000-ზე მეტი ქალი გააძლიერა პიროვნულად და ამავდროულად, გაუზიარა წვდომა ფინანსურ ცოდნასა და რესურსებზე, ბიზნეს მენტორობასა და სამეწარმეო უნარებზე.
- ქალთა სამეწარმეო გაძლიერების სწავლებაში ჩართული იყო კრისტალის წინასწარ გადამზადებული 15 თანამშრომელი სხვადასხვა ფილიალიდან, კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის (E&S) დეპარტამენტის კოორდინაციითა და ხელმძღვანელობით, ასევე „კრისტალ კონსალტინგის“ ბიზნეს მენტორობით.
- 2020 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე, საქართველოს მასშტაბით, კერძოდ კი 30-მდე სოფელსა და ქალაქში ქალთა გაძლიერებაზე მიმართული 43 ონლაინ და 29 ფიზიკური შეხვედრა ჩატარდა.
- პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში 6 საინფორმაციო გასვლითი ტური მოეწყო (Pre-Sale Campaign) 700-მდე მეწარმე ქალთან შესახვედრად. კერძოდ, მოვიცავით იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, შიდა და ქვემო ქართლი, კახეთი. (იხ. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ერთ-ერთი საინფორმაციო გასვლა მეწარმე ქალებთან შესახვედრად: [Buzz Georgia Pre-sale Campaign](#))
- კრისტალის „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში“, რომელიც „USAID YES-GEORGIA - ახალგაზრდებისა და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება, 6343-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის, 4606 გოგო და 1,738 ბიჭი). კრისტალმა 110 ახალგაზრდა მეწარმე დააფინანსა, რომელთაგან 64 წარმატებით, უწყეტი რეჟიმით აგრძელებს საქმიანობას (დაფინანსებულ მეწარმეთა შორის: 69 გოგო და 41 ბიჭია).

2) კრისტალის Pro-Bono აქტივობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

- 2023 წლის მარტი-აპრილი-მაისის პერიოდში, „კრისტალმა“ პრო-ბონოდ სოციალურ საწარმო „იკორთასთან“ ითანამშრომლა. თანამშრომლობა მოიცავდა საწარმოსთვის სოციალური მედია გვერდების ეფექტურად მართვაში პრაქტიკული კონსულტაციის გაწევას, მარკეტინგული ცოდნისა და გაყიდვების სფეროში ექსპერტული გამოცდილების გაზიარებას.

- 2018 წლიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში, 6 წარმატებული პრო-ბონო პარტნიორობა განხორციელდა, რაც მოიცავდა საექსპერტო და საკონსულტაციო რჩევებით სოციალური საწარმოებისა და საზოგადოებრივი საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერას.

3) მომხმარებელთა ფინანსური ცნობიერების ამაღლება

- მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება კრისტალისთვის, როგორც პასუხისმგებლიანი ფინანსური ორგანიზაციისთვის, პრიორიტეტული მიმართულებაა. ამისთვის, კომპანია აქტიურად არის ჩართული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ ფინანსური ცნობიერების ამაღლების ინიციატივებში.
- კრისტალი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ კამპანიას - ფულის გლობალურ კვირეულს შეუერთდა.
- 2023 წელს, გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ პოსტერებისა და სლოგანების კონკურსში, კრისტალი ჟიურის ერთ-ერთი წევრი კომპანია იყო და გამარჯვებულ კონკურსანტს ფულადი პრიზი გადასცა.
- კრისტალი საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინედუს ერთ-ერთი პარტნიორი კომპანიაა მეორე პროექტის - “ფინანსური განათლება მხატვრულად” ფარგლებში.

4) კრისტალის სოციალური გავლენის კვლევა 2022

- მომხმარებლების ბიზნესსა და ცხოვრების ხარისხზე კომპანიის პროდუქტების გავლენის შესწავლის მიზნით, 2023 წლის თებერვალ-მაისის პერიოდში კომპანიის კლიენტებს შორის სოციალური გავლენის კვლევა ჩატარდა. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა, თუ როგორ ზემოქმედებს კომპანია და მისი ფინანსური პროდუქტები კლიენტების თვითაღქმასა და სტრესის დონეზე. კვლევის მიზნებისთვის, შეირჩა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.
- რაოდენობრივი ხასიათის სოციალური გავლენის კვლევა საერთაშორისო ორგანიზაცია „60 დეციბელმა“ ჩაატარა საერთაშორისოდ აღიარებული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი სოციალური გავლენის კვლევის კითხვარის გამოყენებით.
- სოციალური გავლენის კვლევის მიგნებები იხილეთ დანართში - „სოციალური გავლენის კვლევა - მოკლე მიმოხილვა“ .

5) „კრისტალის“ მწვანე პროდუქტების/მწვანე დაფინანსების ფარგლებში:

2023 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე პერიოდში, დაზოგილ იქნა:

- 1,945,234 (KWH) ენერჯია;
- გარემოსთვის არიდებულ იქნა 260,748 კგ. CO2.

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

კრისტალი აქტიურად ემზადება საბანკო ტრანსფორმაციისთვის, მუშავდება ახალი პროექტები, ფართოვდება მოქმედების არეალი, იზრდება ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელი.

ამ პროცესში, კომპანიის მთავარი ამოცანაა მოიზიდოს ახალი თანამშრომლები და ამავდროულად, შეინარჩუნოს არსებული გამოცდილი, პროფესიონალი კადრები. თითოეულ კრისტალელთან ერთად, კომპანიის გუნდი ქმნის გამორჩეულ კულტურას, ღირსეულ სამუშაო გარემოს, რომლითაც ჩვენ ასე ვამაყობთ - სადაც თანამშრომლებს კონკურენტულ და ღირსეულ სამუშაო პირობებში საკუთარი თავის გამოვლენის, ჩართულობის, პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა აქვთ.

2023 წელი კომპანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტალანტების განვითარებისა და მართვის მიმართულებით. ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიუხედავად, კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც HR-მიმართულების საქმიანობის გაუმჯობესების, ისე თანამშრომლებზე ზრუნვის კუთხით:

- 2023 წლის პირველ ნახევარში კვლავ ეფექტიანად წარიმართა რეკრუტინგის პროცესი. „კრისტალის“ გუნდს 131 ახალი თანამშრომელი შემოუერთდა; სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 70 სტაჟიორი შეირჩა, მათგან 35-მა წარმატებით გაიარა სრული კურსი, 16 კი ამჟამად გადამზადებას აგრძელებს.
- რეკრუტინგის პროცესის სწორად მართვის შედეგად, ღია პოზიციების 34% შიდა რესურსით შეივსო, რაც ცალსახად მეტყველებს, რომ „კრისტალში“ კარიერული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა ყველა თანამშრომელს თანაბრად აქვს.
- 2023 წლის პირველ ნახევარში როგორც სათავო ოფისის, ისე საფილიალო ქსელის თანამშრომლებისათვის არაერთი ტრენინგი და ვებინარი ჩატარდა. მთლიანობაში, საადაპტაციო სწავლება 101-მა, საბაზისო ტრენინგი 154-მა, ხოლო სხვადასხვა სასწავლო ტრენინგი 518-მა თანამშრომელმა გაიარა; მენეჯერული უნარების ასამაღლებლად 103 მენეჯერი გადამზადდა. 70-მდე თანამშრომელი დაესწრო სხვადასხვა სახის ცნობიერების ასამაღლებელ ვებინარს.

2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში კომპანიაში არაერთი ინიციატივა თუ პროექტი განხორციელდა, რომლებიც კრისტალელების არამატერიალურ წახალისებას ემსახურებოდა და ამასთანავე, შრომით ბაზარზე კრისტალის, როგორც „კარგი დამსაქმებლის“ პოზიციონირებას უწყობდა ხელს:

- 2023 წლის პირველ ნახევარში გაიმართა შიდა სამოტივაციო კამპანიების, მათ შორის „კრისტალის“ ოლიმპიადის, განვადების ოფიცრების, გარე გაყიდვების, ავტოსესხის მართონის, სალარო მიმართულებით 2022 წლის გამარჯვებულების დაჯილდოება. სამოტივაციო სისტემა ითვალისწინებდა წახალისების როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ კომპონენტს, სადაც გუნდები და ინდივიდები

კონკურენციის რეჟიმში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულები იღებდნენ წამახალისებელ პრიზებს, ასევე მენეჯმენტის აღიარებას. მთლიანობაში, საფილიალო ქსელის 70-მდე თანამშრომელი და 18-მდე ფილიალი დაჯილდოვდა სხვადასხვა პრიზითა და მადლობის სიგელით.

- კრისტალის, როგორც „კარგი დამსაქმებლის“ წარმოჩენის, კომპანიის ცნობადობის გაზრდისა და ახალი ტალანტების მოძიების მიზნით, კომპანია სისტემატურად ერთვება დასაქმების ფორუმებში. 2023 წლის 1-ელ ნახევარში, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფორუმებში. მათ შორის იყო სახელმწიფო დასაქმების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ფორუმი ზუგდიდის ტექნოპარკში, ქუთაისსა და ბათუმში, BTU-ს მიერ მოწყობილი ფორუმი „500 ქალი ტექში“, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა „სკოლა ბიზნეს ფორუმი“ და სხვა. კომპანია ასევე მონაწილეობდა USAID-ისა და PH International-ის მიერ ორგანიზებულ სასკოლო ღონისძიებაში. მსგავსი ტიპის შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომავალშიც გაგრძელდება და კრისტალი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, კვლავ აქტიურად ჩაერთვება პროცესში.
- თავისი საქმიანობით, კრისტალი ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და საფინანსო მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლებას. კომპანია პერიოდულად მასპინძლობს საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებსა და სტუდენტებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ბათუმის ფილიალში შედგა, სადაც კომპანიამ სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.
- “კრისტალმა“ USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში გამართულ სკოლა-ბიზნეს ფორუმში მონაწილე ორი სკოლის პროექტი დააფინანსა. წარმოდგენილი პროექტებიდან, კრისტალმა ყურადღება მწვანე მიმართულებაზე გაამახვილა და ისეთი პროექტები შეარჩია, რომლებიც გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და სამეწარმეო საკითხებს აერთიანებდა.

აღსანიშნავია თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სხვა სამოტივაციო კამპანიები, რომლებიც ხელს უწყობს მათ წახალისებასა და კომპანიის მიმართ ლოიალობის ზრდას. მათ შორისაა შემდეგი აქტივობები:

- ფილიალების იუბილის აღნიშვნა, რომლებსაც მიმდინარე წელს მრგვალი თარიღი შეუსრულდათ. 2023 წლის პირველ ნახევარში, სულ ასეთი 6 ფილიალი იყო.
- 1 ივნისს ჩატარდა სამოტივაციო ღონისძიება თანამშრომელთა შვილებისთვის - „სტუმრად კრისტალში“; ასევე აღინიშნა გვირილობის დღესასწაული ქ. ქუთაისის მაცხოვრებლებისთვის და კრისტალის თანამშრომლებისთვის.
- ყოველი თვის ბოლო პარასკევს, კომპანიაში უკვე ტრადიციად ქცეული „ტკბილი პარასკევი“ იმართება, როცა თანამშრომლები აღნიშნავენ გასული თვის წარმატებით დასრულებას.

- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანიამ ორგანიზება გაუწია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, რომელშიც ცნობიერების ამაღლების მიზნით, კომპანიის თანამშრომლები ჩაერთნენ.

მმართველობითი ანგარიში

ანგარიში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

განცხადება მმართველობის საკითხებზე წინამდებარე ანგარიშის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია 2023 წლის I ნახევრის კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტები, მიმოხილულია მთავარი მიღწევები და გეგმები.

სამეთვალყურეო საბჭო

„კრისტალს“ ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან, მათ შორის არის ოთხი დამოუკიდებელი წევრი და ინვესტორის სამი წარმომადგენელი. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი საქმიანობის ყველა ასპექტის ეფექტიანობისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები არსებითად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მეწარმე და „კრისტალის“ დამფუძნებელია. იგი ფონდ „კრისტალის“ გამგეობის თავმჯდომარეა და რამდენიმე არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობს. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს „კრისტალს“ უთმობს, ხოლო მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით, აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

საბჭოს შემადგენლობა

„კრისტალი“ იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას, განსაზღვრავს საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესებს.

2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა წარმოდგენილია 3 დამფუძნებელ აქციონერთა და ინვესტორთა წარმომადგენლისა და 4 დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ექსპერტიზა მოიცავს საბანკო, „ფინტექ“ და სტრატეგიული HR-ის სფეროებს, რაც განაპირობებს კორპორაციული მმართველობის უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობას და კომპანიის ზრდისა და წარმატების საწინდარია.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): გიორგი არველაძე (საქართველო), დამოუკიდებელი წევრი და უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებით მმართველ კომიტეტს; მატანგი გოვრიშანკარი (ინდოეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს; იან დევიზგაერტი (ბელგია), დანიშნული Incofin IM-ის მიერ; რობერტ სკოტ კოსმანი (აშშ), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს; ალემ რემტულა (აშშ), დანიშნული DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; ლილიტ გარაიანი (სომხეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის კომიტეტს; სუმა სვამინათანი (აშშ), ალტერნატიული წევრი DWM-იდან.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2023 წლის 1-ლი ნახევრის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ 6 შეხვედრა გამართა: 1 უშუალო და 5 ვირტუალური. საანგარიშო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

- შიდა აუდიტის კომიტეტი - 2-ჯერ;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) - 5-ჯერ;
- რისკების კომიტეტი - 2-ჯერ;
- გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი - 1-ხელს;
- ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი - 2-ჯერ.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის მიერ შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, საბჭოს დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, აქციონერებისათვის ისეთი სამოქმედო გეგმის შეთავაზებას, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით განხორციელებული აქტივობები

მმართველი გუნდის შემადგენლობის ცვლილება

ორგანიზაციის ხედვის ძირითადი არსისა და სტრატეგიის გასამდიერებლად, მმართველი გუნდისადმი ურყევი ნდობის გამოხატვით, 2023 წლის მეორე კვარტალში სამეთვალყურეო საბჭომ განახორციელა ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში, დაწერა რა უფროსი ოპერაციული ოფიცრისა და უფროსი ლიზინგის ოფიცრის დინამიური როლები. აღნიშნული ნაბიჯი არა მხოლოდ ხაზს უსვამს საბჭოს ღრმა რწმენას მმართველი გუნდის ეფექტურობისა და კომპეტენციის მიმართ, არამედ აძლიერებს კომპანიის ერთობლივ ძალისხმევას დაიკავოს წარმატებული მიკრობანკის პოზიცია. 2023 წლის ივნისში, მმართველი გუნდი პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ადამიანების უფროსმა ოფიცერმა. შედეგად, 2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით, მმართველი გუნდის შემადგენლობა 7 წევრით არის წარმოდგენილი.

სტრატეგიული ინიციატივები

საანგარიშო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა 2023-2025 წლების სტრატეგიული რუქა, რაც ადასტურებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი გუნდის ერთობლივ გადაწყვეტილებას გააგრძელონ კომპანიის ზრდა ინოვაციებისადმი ურყევი ერთგულებით.

კომპანიამ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 4 სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფის (STF) ჩამოყალიბებით (ციფრული ტრანსფორმაცია; მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტი; ტრანზაქციული ბიზნესი; გარემოსდაცვისა და სოციალური ამოცანები).

შეფასება

სამეთვალყურეო საბჭომ განახორციელა ყოველწლიური შეფასება, რომლის ფარგლებშიც შეფასდა თავმჯდომარის, საბჭოს, კორპორაციული მდივნის, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის და უფროსი ოფიცრების მიერ შესრულებული სამუშაო 2022 წლის შედეგების მიხედვით. განხორციელდა შედეგების შესახებ უკუკავშირის შესაბამისი სესიები.

სამეთვალყურეო საბჭო გეგმავს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებების უზრუნველყოფას საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების და კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად.

გეგმები

2023 წლის ბოლომდე სამეთვალყურეო საბჭო გეგმავს საკონსულტაციო კომპანია Nestor Advisors-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, როგორებიცაა AML და შესაბამისობის გაძლიერება, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მეორე ხაზის შექმნა, შეტყობინების მექანიზმის გაძლიერება და დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების სისტემის განახლება. ამ ეტაპზე პრიორიტეტული პოზიცია აქვს საბანკო ტრანსფორმაციის პროცესს და ტრანსფორმაციისთვის საჭირო დარჩენილი პოლიტიკების მიღებას, ასევე ცვლილებების შეტანას წესდებსა და აქციონერთა შეთანხმებაში.

მიკრობანკის განაცხადი და ეროვნულ ბანკთან ურთიერთქმედება

2023 წლის მე-3 კვარტალში კომპანია გეგმავს საბანკო ლიცენზიის განაცხადის შეტანას საქართველოს ეროვნულ ბანკში, მიკრობანკის სტატუსის მოსაპოვებლად. კომპანია აქტიურად ემზადება სტრატეგიული ნაბიჯისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ ჩვენი სერვისები და უკეთ დავუჭიროთ მხარი ჩვენი მომხმარებლების ფინანსურ საჭიროებებს.

მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში, სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი გუნდი დაამტკიცებს რიგ პოლიტიკებსა და პროცედურებს, „მიკრობანკების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს როგორც არსებული პოლიტიკების გადახედვა, ასევე ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება როგორც შიდა რესურსებით, ასევე გარე იურიდიული საკონსულტაციო კომპანიის მხარდაჭერით.

სამართლებრივი შესაბამისობა

კრისტალის ვალდებულების ნაწილია, დაიცვას უახლესი მარეგულირებელი მოთხოვნები. კომპანია აქტიურად მუშაობს წესდების სამეწარმეო კანონთან სრულ შესაბამისობაში მოყვანაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს მოწყობა და მასალები

სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს ყოველწლიური განმეორებითი დღის წესრიგით (rolling agenda), რაც ხელს უწყობს დროული და კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, საბჭოს რესურსებისა და ეფექტურობის ოპტიმიზაციას.

კორპორაციული მართვის კონსულტანტის Nestor Advisors-ის ღირებული მხარდაჭერით, კრისტალმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მენეჯმენტის ანგარიშებისა და საბჭოს/კომიტეტის სხვა მასალების ხარისხის ასამაღლებლად. მენეჯმენტის მიერ დოკუმენტების წარდგენის ვადების დაცვა დიდწილად მიღწეულია, რაც ადასტურებს ჩვენს ერთგულებას დროული გადაწყვეტილების მიღებისადმი. გარდა ამისა, საბჭოს მიერ ახლად დანერგულმა ბიუჯეტირებისა და ფინანსური პროგნოზების სისტემამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომპანიის ფინანსური მართვის პროცესი.

საბჭოს შემადგენლობა და კომიტეტები

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა.

მიმდინარე საბანკო ტრანსფორმაციის ფარგლებში, კრისტალის მიერ შექმნილი კომიტეტები, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზაციის მდგრად განვითარებასა და მიკრობანკად გარდაქმნის საქმეში.

თითოეული კომიტეტი საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად ფუნქციონირებს. მათ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები ხელმძღვანელობენ, რომელთა ექსპერტიზა უზრუნველყოფს რისკების კომიტეტის, აუდიტის კომიტეტის და ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტის ეფექტურ და მიუკერძოებელ ფუნქციონირებას.

კორპორაციული მართვა

„კრისტალის“ კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მიზნების მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში ასახვა. თითოეულ უფროს ოფიცერს შესასრულებლად განესაზღვრება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მათი ცვლადი კომპენსაციის მნიშვნელოვანი საფუძველია. შედეგად, აღნიშნული ამოცანები გადაეცემა ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შეფასების მთავარი ინდიკატორებით. ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, საბჭომ უზრუნველყოს „კრისტალის“ მიერ მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით, საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩაბმულობის კვლევას. დაბოლოს, გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს სოციალური გავლენის ხარისხს. „კრისტალს“ დანერგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებითა და პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით. „კრისტალი“ მოწოდებულია, მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსსა და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

არჩილ ბაკურაძე /სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/

სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე. გახლდათ მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარე, ამჟამად კი მისი გამგეობის წევრია. არჩილ ბაკურაძე არის ფონდ „კრისტალის“ გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიატი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის (Stichting Vluchteling) Van HeuvenGoedhart-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).

გიორგი არველაძე /უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი/

სს „მისო კრისტალში“ უკავია სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის პოზიცია; ამჟამად „კრისტალის“ სტრატეგიისა და საბანკო ტრანსფორმაციის საგანგებო/დროებით მმართველ კომიტეტს ხელმძღვანელობს. გიორგი არველაძე ქართველი ბიზნესმენია, რომელსაც საბანკო სფეროში საქმიანობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. უძრავი ქონების, ტრანსპორტირებისა და ენერჯეტიკის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე, იგი საქართველოს უმსხვილესი ბანკის – „თიბისი ბანკის“ მმართველი დირექტორი და არასაპროცენტო შემოსავლების, კვლევებისა და საბროკერო საქმიანობის მიმართულებას ხელმძღვანელობდა. მანამდე კი „ლიბერთი ბანკის“ - საქართველოში სიდიდით მე-3 ბანკის (650 ფილიალითა და 5,300-ზე მეტი თანამშრომლით) გენერალური დირექტორი იყო. მისი დირექტორობის პერიოდში ბანკმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია და 2 წელიწადში წმინდა მოგების წლიურმა ზრდამ დაახლოებით 200% შეადგინა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე მას იმავე ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა და სტრატეგიული პროექტების, ხაზინისა და კერძო ბანკინგის მიმართულებას ხელმძღვანელობდა (2009-2011); მოგვიანებით ასევე ეკავა საოპერაციო დირექტორის პოზიცია (2011-2013).

2009 წელს საქართველოში დაბრუნებამდე, იგი მუშაობდა ლონდონში, BNP Paribas-ში, სტრუქტურირებული პროდუქტების გუნდში, მანამდე კი საქართველოს ეროვნულ ბანკში. გიორგი არველაძე ლონდონის ბიზნესსკოლის მაგისტრის ხარისხს ფლობს.

მატანგი გოვრიშანკარი /დამოუკიდებელი წევრი/

40 წელია საქმიანობს მმართველ პოზიციებზე ბიზნესისა და ადამიანური რესურსების მიმართულებებით როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამჟამად „კრისტალის“ ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს ხელმძღვანელობს. აქვს სხვადასხვა დარგში მოქმედ წამყვან კორპორაციებთან, მათ შორის, Standard Chartered Bank-

თან, Reebok-თან, GE-სა და Cummins Inc-თან მუშაობის გამოცდილება. ბოლო დროს ის დასაქმებული იყო BP plc-ში, სადაც გლობალური შესაძლებლობების განვითარების ხელმძღვანელისა და გლობალური ლიდერობის აკადემიის დირექტორის პოზიცია ეკავა. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი დირექტორია; ამჟამად არის ინდოეთში მოქმედი არაერთი საბჭოს წევრი ისეთ მრავალფეროვან დარგებში, როგორებიც არის ფინანსური სერვისები, IT და წარმოება. როგორც ბიზნესისა და ადამიანური რესურსების პროფესიონალი, მატანგი ასევე ეწევა დამოუკიდებელ საკონსულტაციო პრაქტიკას აღმასრულებელი რგოლის ქოუჩინგსა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. მას აქვს ბიზნესპროცესების, ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციოლოგიაში, ასევე ინდოეთის წამყვანი ბიზნესსკოლის (XLRI, Jamshedpur) მაგისტრის ხარისხს მენეჯმენტსა და სამრეწველო ურთიერთობებში. მისი მიზანია ეფექტიანი გუნდების ფორმირება. რამდენიმე ორგანიზაციაში აქტიურად არის ჩაბმული ხელმძღვანელი პირების მენტორინგისა და სწავლების პროცესში.

იან დევინგაერტი /წევრი/

აქვს კაპიტალის ბაზარზე სააქციო კაპიტალის შექმნის, მართვისა და რეალიზების მიმართულებით მდიდარი გამოცდილება. განხორციელებული აქვს ევროპასა და აზიაში 60-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია. არის სხვადასხვა კერძო ფონდის მმართველი პარტნიორი, მმართველი დირექტორი და საინვესტიციო კომიტეტის წევრი. მრავალ ქვეყანაში არაერთი საბჭოს წევრია. „კრისტალის“ გარდა ის ამჟამად BEM-ის (უძრავი ქონების ფონდი), Genesis Private Equity Fund-ის (ჩეხური და სლოვაკური PE ფონდი), Araratbank-ისა (სომხეთი) და Arvand-ის (ტაჯიკეთი) საბჭოს წევრია.

რობერტ კოსმანი /დამოუკიდებელი წევრი/

რობერტ კოსმანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. 33 წელია, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 სხვადასხვა ქვეყანაში საცალო, მცირე და საშუალო საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს. ამჟამად ხელმძღვანელობს „კრისტალის“ რისკების კომიტეტს. 2004-2020 წლებში მას Raiffeisen Bank International-ში, უკრაინის ოფისში საცალო/SME ბანკინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა; ხელმძღვანელობდა SME რისკებს ავსტრიაში, ეკავა CIO-სა და COO-ს თანამდებობები. მანამდე კი განვითარების უფროსი ბანკირის რანგში EBRD-თან, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და USAID-თან მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურისთვის კუთხით თანამშრომლობდა. ამჟამად იგი აქტიურად საქმიანობს როგორც Fintech Angel ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი/მენტორი უკრაინაში.

ლილიტ გარაიანი /დამოუკიდებელი წევრი/

ფინანსისტი, „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივლისიდან. ამჟამად არის „კრისტალის“ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის პროგრედიტის კორპორაციის უმაღლესი რგოლის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული და ACCA-ს წევრი.

ალექს რემტულა /წევრი/

პარტნიორი და DWM-ის კერძო ინვესტიციათა გუნდის ხელმძღვანელი. ალექს რემტულა 2011 წლიდან არის საბჭოს წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. ის ამჟამად ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს. მისი კარიერა საინვესტიციო-საბანკო სფეროში JP Morgan-ში დაიწყო და აქვს 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება გლობალურად, როგორც სამეწარმეო კაპიტალის, ასევე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი ინვესტირების კუთხით. მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნესსკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი პრინსტონის უნივერსიტეტში.

სუმა სვამინათანი /ალტერნატიული წევრი/

DWM-ის კერძო ინვესტიციების ვიცე-პრეზიდენტი. სუმა სვამინათანი 2020 წლიდან არის „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. DWM-ში მუშაობის დაწყებამდე იყო კონსულტანტი ნიუ-იორკის საკონსულტაციო კომპანია Empire Valuation Consultant-ში. მას აქვს საჯარო და კერძო კომპანიების კაპიტალის, სესხისა და რთული აქტივების/ფასიანი ქაღალდების შეფასების მართვის გამოცდილება პოტენციური ინვესტიციების, ფინანსური ანგარიშგებისა და კორპორაციული დაგეგმვის მიზნებისათვის. ასევე Infosys Technologies-ის მხრიდან მუშაობდა ტექნოლოგიად Capital One AutoFinance-ში. ფლობს NYU's Stern ბიზნესსკოლის MBA ხარისხს, სადაც, ინდოეთის ქსოვის ინდუსტრიაში კოოპერაციულ საზოგადოებებთან მუშაობის შედეგად, გახდა ფაკულტეტის სტიპენდიატი სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. ფლობს ოსმანის უნივერსიტეტის (ჰიდერაბადი, ინდოეთი) ელექტროინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს.

ნინო მეტრეველი /კორპორაციული მდივანი/

„კრისტალის“ გუნდს შემოუერთდა 2019 წელს, აღმასრულებელი თანაშემწის რანგში. კარიერა მასწავლებლობითა და თარჯიმნობით დაიწყო. აქვს სხვადასხვა სფეროში 20 წლამდე მუშაობის გამოცდილება, აქედან, 18 წელია ფინანსურ ინსტიტუტებში მოღვაწეობს. 2019 წლიდან არის პროექტის ოფიცერი USAID-ის მიერ დაფინანსებული „ფონდ კრისტალის“ პროგრამის YES-Georgia-ს ფარგლებში. მას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლების, ადმინისტრაციული ერთეულების მართვის, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან დაკავშირებული კომიტეტების სამუშაო ციკლისა და პროექტების მართვის კუთხით. 2008-2015 წლებში იყო „ბანკ კონსტანტას“ სამდივნოს უფროსი და კორპორაციული მდივანი. 2015-2018 წლებში მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მარკეტინგის დეპარტამენტში, სადაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა PR-ისა და MSME-ის მიმართულებებთან. არის ფილოლოგი (ინგლისური ენა), ასევე გავლილი აქვს სპეციალიზაცია PR-ში.

მმართველი გუნდი (დირექტორთა საბჭო)

ილია რევია /უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი/

ილია რევია გახლავთ წარმატებული ტოპ-მენეჯერი, მდიდარი გამოცდილებით საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და საფინანსო სექტორებში. კარიერა 1998 წელს დაიწყო, როგორც ვებდეველოპერმა. 2001-2006 წლებში მუშაობდა IT პროექტის მართვის მიმართულებით აშშ-ის იურიდიულ კომპანიაში, 2007-2009 წლებში კი დასაქმებული იყო თიბისი ბანკში სტრატეგიული პროექტების მენეჯერად. 2009 წელს ილია რევია საქართველოს ბანკს შეუერთდა, სადაც მოგვიანებით უფროსი საინფორმაციო ოფიცრის მოადგილედ დაინიშნა და სათავეში კომპანიის არაერთ სტრატეგიულ და კომპლექსურ პროექტს ჩაუდგა, როგორცაა „პრივატბანკ საქართველოს“ შექმნა. Agile-ტრანსფორმაციას და მრავალი სხვა. 2019 წლის ივნისიდან ილია რევია დაინიშნა ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის“ უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. იგი არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტის მენეჯმენტში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მართვაში და შვედეთის იონჩეპინგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ბიზნესინოვაციებში. ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

დავით ბენდელიანი /უფროსი ფინანსური ოფიცერი/

2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტების განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.

მელანია კუჭუხიძე /უფროსი ბიზნესოფიცერი/

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი გახლავთ მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 18-წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. მელანია არის სერტიფიცირებული ბიზნეს ქოუჩი. ის 2005-2006 წლებში მუშაობდა EBRD პროექტში ადგილობრივ კონსულტანტად, 2006-2010 წლებში მუშაობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. 2010-2015 წლებში გახლდათ „ბანკი კონსულტანტას“ ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, შემდგომ, 2016 წლამდე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მიკრობიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსად. 2016-2018 წელს გახლდათ „მწვანე ლისის“ ურბანული განვითარების პროექტის

კომერციული დირექტორი. 2018 წელს შეუერთდა „კრისტალს“ ქსელის მართვის უფროსის პოზიციაზე, 2019 წელს დაინიშნა „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცერის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან არის უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი არის „ვითიბი ბანკის“ კორპორაციული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მიღებული აქვს ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში

ბექა ციციშვილი/უფროსი საინფორმაციო ოფიცერი/

უფროსი საინფორმაციო ოფიცერი 2018 წლიდან, იყო „აჭარა გრუპის“ უფროსი საინფორმაციო ოფიცერი, მუშაობდა შპს „ავიატორსა“ და „ბანკ რესპუბლიკაში“ საინფორმაციო სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არის შპს „ნექსტ სტეპის“ თანადამფუძნებელი. მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი კავკასიის ბიზნესსკოლასა და გრენობლის ბიზნესის სკოლაში, ფლობს ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრის ხარისხს.

გიორგი მეგენიშვილი /რისკების უფროსი ოფიცერი/

გიორგი (გიგა) მეგენიშვილი სს „მისო კრისტალის“ რისკების უფროსი ოფიცერია. მას 2005 წლიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა და განვითარების საინტერესო გზა განვლო. რისკების მართვის კლასიკური მიდგომების დანერგვით მან კომპანიის განვითარებაში ღირებული წვლილი შეიტანა. არის რისკების სერტიფიცირებული მენეჯერი. მას ასევე მიღებული აქვს მიკროფინანსების მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი (ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა). გავლილი აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნინო ფანჯიკიძე /უფროსი ოპერაციული ოფიცერი/

ნინო ფანჯიკიძე კრისტალის გუნდს უფროსი ოპერაციული ოფიცერის პოზიციაზე 2023 წლის ივნისიდან შემოუერთდა. მას ფინანსურ სექტორში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა დროს იგი პროკრედიტ ბანკში იკავებდა მენეჯერულ პოზიციებს: იყო ცენტრალური ფილიალის საოპერაციოს უფროსის მოადგილე, საცალო კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ცენტრალიზებული ბექ ოფისის ხელმძღვანელი, ასევე, პროდუქტების და პროცედურების განვითარების უფროსი სპეციალისტი. 2013 წლიდან ნინო შეუერთდა ფინკა ბანკის გუნდს და იკავებდა საბანკო სერვისების უფროსის პოზიციას. ასევე ხელმძღვანელობდა საბანკო მხარდაჭერის მიმართულებას, მათ შორის ცენტრალიზებულ ბექ ოფისს, უნაღდო ანგარიშსწორებისა და საბანკო ბარათების მიმართულებას. ბოლო 2 წლის განმავლობაში ის მუშაობას არასაბანკო სფეროში აგრძელებდა. ნინომ დაამთავრა თავისუფალ უნივერსიტეტის ფინანსების მიმართულება და მიენიჭა სერთიფიცირებული

ფინანსური მენეჯერის კვალიფიკაცია. მოგვიანებით კი სწავლა კვლავ განაგრძო კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. მან ასევე დაამთავრა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი. ამას გარდა, ნინომ წარმატებით დაასრულა იელის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური ბაზრების შემსწავლელი სრული კურსი.

კახა გაბესკირია /ლიზინგის უფროსი ოფიცერი/

კახა გაბესკირია „კრისტალის“ გუნდს 2009 წელს შეუერთდა. ეკავა სხვადასხვა აღმასრულებელი პოზიცია, როგორებიცაა უფროსი საკრედიტო ოფიცერი, უფროსი ოპერაციების ოფიცერი და უფროსი ბიზნესოფიცერი. 2020 წლიდან იგი დაინიშნა „მისო კრისტალის“ შვილობილი კომპანიის „კრისტალ ლიზინგის“ უფროს აღმასრულებელ ოფიცრად, ხოლო 2023 წლის ივნისიდან დაინიშნა ლიზინგის უფროს ოფიცრად. ბატონ გაბესკირიას „პროკრედიტ ბანკში“, MSME სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მიღებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, სერტიფიცირებულია პროექტების მართვაში, ბიზნესის ანალიზში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, საკრედიტო პორტფელის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვაში.

გიორგი ჯანელიძე /შპს „კრისტალ კონსალტინგის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი/

გიორგი ჯანელიძე „კრისტალ კონსალტინგის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერია. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მას „მისო კრისტალში“ სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, ამჟამად კი არის აღმასრულებელი ბიზნესკონსალტინგის მიმართულებით. 2008 წლიდან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორში. მას აქვს მიკროფინანსების, მარკეტინგის, IT, პროექტების მართვისა და MSE მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ამასთანავე, მას განვითარებული აქვს რამდენიმე სტარტაპი ბიზნესიდეიდან საბოლოო პროდუქტამდე. არის IT სპეციალისტი, სერტიფიცირებული პროექტის მენეჯერი და ციფრული მარკეტოლოგი. ფლობს მაგისტრის ხარისხს IT და ეკონომიკის მიმართულებით. ამჟამად სწავლობს დოქტორანტურაში.

კომიტეტების ანგარიშები

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრისა (CFO) და უფროსი ბიზნესოფიცრის (CBO) შემადგენლობით. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიზანია „კრისტალში“ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ლიკვიდურობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროების მიმოხილვას, უცხოურ ვალუტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო განაკვეთის, კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდურობის რისკების მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ. ALCO მონიტორინგს უწევს წლიური ბიუჯეტის ინდიკატორების შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში კი მათ განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით ჩატარებული სხდომები: 5

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- ფინანსური შედეგები;
- ფინანსური გეგმა;
- ბიუჯეტის პარამეტრები და პროგნოზი;
- პორტფელის ხარისხი;
- საკრედიტო რესურსები და დაფინანსება;

გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელების ზედამხედველობა. კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და პასუხისმგებლობიანი დაფინანსების პრინციპებისა და საქმიანობის განსაზღვრა, ასევე მათი განხორციელების მონიტორინგი. ამრიგად, კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით ჩატარებული სხდომები: 1

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- მიმდინარე პროექტები და საქმიანობა;
- გარემოსდაცვითი გავლენის შეფასება;
- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა და რეკომენდაციები;
- ESG ანგარიშგების ინდიკატორები და დანერგვა;

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მიმართულების ზედამხედველობაზე, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესის უწყვეტობას ადამიანების მეშვეობით. გარდა ამისა, კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურებასა და მუშაობის შეფასებაზე, რათა უზრუნველყოს პრემიების სამართლიანი და შესატყვისი მექანიზმები. კომიტეტის ყურადღება ასევე მიმართულია მენეჯმენტის წახალისებაზე, რათა დამკვიდრდეს მემკვიდრეობითობის დაგეგმვის საიმედო პროცესი, რომელსაც კომიტეტის წევრები და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში მინიმუმ ორჯერ განიხილავენ. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების შერჩევის პროცესის დადგენაზე და უზრუნველყოფს შერჩევას სამართლიანად, წესდებისა და აქციონერთა ხელშეკრულების შესაბამისად. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია შეაფასოს სამეთვალყურეო საბჭოს გამართული ფუნქციონირება და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამისი ზომების მიღების რეკომენდაციას.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით ჩატარებული სხდომები: 2

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- რეკომენდაციების და დავალებების შესრულების ანგარიში
- ადამიანური რესურსების ანალიზი
- კომპენსაციის ნიშნული და საწყისი რეკომენდაციები
- მაღალი დონის რეკომენდაციები შესრულების მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის
- ტრენინგის და განვითარების ბიუჯეტი
- შესრულების მართვის პროცესის დიზაინი

- ბაზრის კომპენსაციის კვლევის დეტალური ანალიზი
- რეკომენდაციები კომპენსაციის განხილვისათვის - ბიუჯეტის მოთხოვნები
- განხილვა გაყიდვების ძალის ეფექტურობის პროექტთან მიმართებაში
- ორგანიზაციის მამტაბით მთლიანი თანამშრომლების, თანამშრომელთა გადინების და HR მიმართულების ძირითადი მაჩვენებლების განახლებული ანგარიში და ანალიზი

შიდა აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის მართვის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პრაქტიკის სტრუქტურირებული, სისტემატური ზედამხედველობის უზრუნველყოფა. კომიტეტი საბჭოსა და მენეჯმენტს ეხმარება რჩევებითა და მითითებებით ორგანიზაციის ინიციატივების ადეკვატურობის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

1. ღირებულებები და ეთიკა;
2. მმართველობის სტრუქტურა;
3. შიდა კონტროლის სტრუქტურა;
4. ზედამხედველობა შიდა აუდიტის საქმიანობაზე, გარე აუდიტორებსა და გარანტორებზე;
5. ფინანსური ანგარიში და საჯარო ანგარიშვალდებულება.

ზოგადად, აუდიტის კომიტეტი განიხილავს ზემოთ აღნიშნულ თითოეულ პუნქტს და აძლევს საბჭოს დამოუკიდებელ რჩევებსა და მითითებებს მენეჯმენტის პრაქტიკის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, ამ პრაქტიკის პოტენციური გაუმჯობესების შესახებ.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით ჩატარებული სხდომები: 2

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- აუდიტის შედეგები;
- წლიური გეგმა;
- განახლებული ანგარიში აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების და მონიტორინგის შედეგების შესახებ;
- საკონსულტაციო მომსახურება და სახელმძღვანელოები

რისკების კომიტეტი

კომიტეტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს რისკის ყველა კატეგორიის ობიექტური შეფასება და კონტროლი, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და რისკის მართვის შესაბამისი სისტემის შექმნა. კერძოდ, კომიტეტი მხარდაჭერას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების ზედამხედველობაში და შეთანხმებულად მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტებთან, რომლებიც გარკვეული ტიპის რისკებს ზედამხედველობენ. კომიტეტის მმართველობის გაძლიერების მიზნით, იგი შედგება 3 დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორისაგან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. კომიტეტი შეიქმნა იმისთვის, რომ დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოს მის პასუხისმგებლობაში შემავალი რიგი საკითხების შეფასებასა და ზედამხედველობაში, როგორც არის:


- ჯგუფზე ზემოქმედების მქონე რისკების კონტროლი და მართვა;
- რისკის მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოსა და რისკის მართვის მიდგომების შემუშავება, დანერგვა და გამოყენება;
- რისკის დასაშვები დონის მონიტორინგი, ჯგუფის რისკის საერთო პროფილისა და მატერიალური რისკის ტიპების შეფასება;
- შესაბამისობის მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი, რომელიც გავლენას ახდენს მატერიალური რისკის ტიპებზე; და
- რისკის კულტურა და ქცევები.

2023 წლის მე-2 კვარტლის მდგომარეობით ჩატარებული სხდომები: 2

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- წინა კომიტეტის დავალებების შესრულების ანგარიში;
- რისკების დეპარტამენტის ანგარიში;
- პორტფელის ხარისხის ტენდენცია და კონცენტრირებული საკრედიტო რისკი
- საკრედიტო ქულების პროექტის განახლება და ჩამოწერის პროცესის განვითარების სამოქმედო გეგმა
- შესაბამისობის და AML ანგარიში
- ამოღების პროცესის განხილვა
- ტენდერის შედეგები
- 2023 წლის გეგმები

- საკრედიტო პოლიტიკა
- რისკის მადის პოლიტიკა
- რისკების მართვის ჩარჩო
- რისკების მიმართულებით ნებისმიერი პოლიტიკა, რომელსაც აქვს ახალი ძირითადი ცვლილებები 2023 წლისთვის (მაგ. AML, შესაბამისობის ან OPS რისკის პოლიტიკა)
- CAR-ის რღვევა და სამოქმედო გეგმა
- აუდიტის ანგარიში და ვადაგადაცხილებული აუდიტის რეკომენდაციების განხილვა



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებშიც სამართლიანად არის წარმოდგენილი სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს შპს „კრისტალ კონსალტინგის“ (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე მათი საოპერაციო შედეგები, ფულადი ნაკადები და კაპიტალში ცვლილება ამ თარიღით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.


კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკა იმგვარად, რომ ასახავდეს რეალურად, შედარებად და გასაგებ მონაცემებს;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიურ მოთხოვნებთან შესაბამისობა მომხმარებლებს კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენების და პირობების ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის გაგების შესაძლებლობას არ აძლევს;
- ჯგუფის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ინფორმაციის გამჟღავნება მმართველობით ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით;
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რაც აჩვენებს და განმარტავს ჯგუფის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ასევე საშუალებას აძლევს მას უზრუნველყოს ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობა ფასს სტანდარტებთან;
- საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია მათთვის ჯგუფის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

კომპანიის 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2023 წლის 11 აგვისტოს ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ.



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი




არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	6 თვე 2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	4	58,460	107,853
საპროცენტო ხარჯი	4	(20,780)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების ზარალის განცდამდე		37,680	71,565
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე		(4,603)	(6,606)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		33,077	64,959
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	10	(5,985)	(17,389)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	5	1,999	5,547
წმინდა საკომისიო შემოსავალი	6	942	1,436
სხვა შემოსავალი		290	356
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		(2,754)	(10,050)
საოპერაციო შემოსავალი		30,323	54,909
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(15,346)	(29,780)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	(3,443)	(6,850)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,440)	(10,636)
მოგება დაბეგრამდე		6,094	7,643
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	(992)	232
წლის წმინდა მოგება		5,102	7,875
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,102	7,875



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	6 თვე 2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	4	58,460	107,853
საპროცენტო ხარჯი	4	(20,780)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების ზარალის განცდამდე		37,680	71,565
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე		(4,603)	(6,606)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		33,077	64,959
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	10	(5,985)	(17,389)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	5	1,998	5,549
წმინდა საკომისიო შემოსავალი	6	944	1,436
სხვა შემოსავალი		15	121
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		(3,028)	(10,283)
საოპერაციო შემოსავალი		30,049	54,676
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(15,146)	(29,491)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	(3,394)	(6,796)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,394)	(10,612)
მოგება დაბეგრამდე		6,115	7,777
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	(992)	232
წლის წმინდა მოგება		5,123	8,009
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,123	8,009



ილია რევა
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	33,860	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11	395,209	388,795
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	12	12,305	9,841
ძირითადი საშუალებები	13	3,356	3,972
აქტივის გამოყენების უფლება	14	6,342	8,152
არამატერიალური აქტივები	15	4,382	4,147
გასაყიდად გამიზნული აქტივები		188	197
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	8	-	699
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	3,305	3,305
სხვა აქტივები	16	5,732	6,336
სულ აქტივები		464,679	453,256
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	10	18,083	8,032
ნასესხები სახსრები	17	329,393	356,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	26,325	-
მოზიდული თამასუქები		115	-
საიჯარო ვალდებულება	14	6,211	8,121
გადასახდელი დივიდენდები	20	1,454	997
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	293	-
სხვა ვალდებულებები	19	11,124	12,534
სულ ვალდებულებები		392,998	386,183
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	20	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		45,936	41,328
სულ საკუთარი კაპიტალი		71,681	67,073
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		464,679	453,256



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	33,779	27,785
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11	395,209	388,795
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	12	12,305	9,841
ძირითადი საშუალებები	13	3,350	3,968
აქტივის გამოყენების უფლება	14	6,342	8,152
არამატერიალური აქტივები	15	4,316	4,035
გასაყიდად გამიზნული აქტივები		188	197
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	8	-	699
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	3,305	3,305
სხვა აქტივები	16	5,732	6,336
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		385	340
სულ აქტივები		464,911	453,453
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	10	18,083	8,032
ნასესხები სახსრები	17	329,393	356,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	26,325	-
მოზიდული თამასუქები		115	-
საიჯარო ვალდებულება	14	6,211	8,121
გადასახდელი დივიდენდები	20	1,454	997
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	293	-
სხვა ვალდებულებები	19	11,124	12,520
სულ ვალდებულებები		392,998	386,169
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	20	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		46,168	41,539
სულ საკუთარი კაპიტალი		71,913	67,284
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		464,911	453,453



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	34,450	60,195
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	7,875	7,875
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	41,328	67,073
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	5,102	5,102
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(494)	(494)
2023 წლის 30 ივნისი		3,635	22,110	45,936	71,681



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“


ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	34,527	60,272
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	8,009	8,009
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	41,539	67,284
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	5,123	5,123
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(494)	(494)
2023 წლის 30 ივნისი		3,635	22,110	46,168	71,913



ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	6 თვე 2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		6,094	7,643
<i>კორექტირება:</i>			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	10	5,985	17,389
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	3,443	6,850
საპროცენტო შემოსავალი	4	(58,460)	(107,853)
საპროცენტო ხარჯები	4	20,780	36,288
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე		4,603	6,606
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	5	(4,604)	(20,846)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები		2	17
იჯარის გაუქმებით მიღებული შემოსულობა		-	(5)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		(22,157)	(53,911)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების ზრდა/მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების (კლება)		4,036	(8,905)
მომხმარებლებზე გაცემულ სესხების ზრდა		(10,115)	(44,894)
იჯარებში წმინდა ინვესტიციების ზრდა		(2,464)	(4,309)
გასაყიდად გამიზნული აქტივების კლება/(ზრდა)		9	(197)
სხვა აქტივების კლება/(ზრდა)		446	(2,241)
სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(1,399)	2,345
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(9,487)	(58,201)
მიღებული პროცენტი		57,688	105,616
გადახდილი პროცენტი		(20,331)	(34,823)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(3,197)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		5,713	(44,516)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(280)	(1,739)
არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(974)	(955)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	142
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,254)	(2,552)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	17	102,950	238,304
ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(124,434)	(175,210)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება	18	25,000	-
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	18	(236)	-
შემოსულობა მოზიდული თამასუქებიდან		108	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	14	(1,648)	(3,560)
გადახდილი დივიდენდები	20	-	(996)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,740	58,538
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		6,199	11,470
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		(151)	(2,785)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	27,812	19,127
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	33,860	27,812





ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	6 თვე 2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/ დაბეგვრამდე		6,115	7,777
<i>კორექტირება:</i>			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	10	5,985	17,389
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	3,394	6,796
საპროცენტო შემოსავალი	4	(58,460)	(107,853)
საპროცენტო ხარჯები	4	20,780	36,288
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე		4,603	6,606
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (შემოსულობა)	5	(4,604)	(20,848)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები		2	17
იჯარის გაუქმებით მიღებული შემოსულობა		-	(5)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გასვლა		(22,185)	(53,833)
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე			
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ზრდა/მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების კლება		4,036	(8,905)
მომხმარებლებზე გაცემული სესხების ზრდა		(10,115)	(44,894)
იჯარებში წმინდა ინვესტიციების ზრდა		(2,464)	(4,309)
გასაყიდად გამიზნული აქტივების კლება/(ზრდა)		9	(197)
სხვა აქტივების კლება/(ზრდა)		446	(2,241)
სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(1,399)	2,359
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(9,487)	(58,187)
მიღებული პროცენტი		57,688	105,616
გადახდილი პროცენტი		(20,331)	(34,823)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(3,197)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		5,685	(44,424)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		(45)	(68)
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(275)	(1,741)
არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(974)	(979)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	142
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,294)	(2,646)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	17	102,950	238,304
ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(124,434)	(175,210)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება	18	25,000	-
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	18	(236)	-
შემოსულობა მოზიდული თამასუქებიდან		108	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	14	(1,648)	(3,560)
გადახდილი დივიდენდები	20	-	(996)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,740	58,538
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		6,131	11,468
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		(137)	(2,785)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	27,785	19,102
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	33,779	27,785



ილია რევა
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო

49-123 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

1. ორგანიზაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (შემდგომში „კომპანია“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „ფონდი კრისტალის“ (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) გადაწყვეტილების საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (თარიღი: 2006 წლის 18 ივლისი) შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი საწარმო - შპს „კრისტალ კონსალტინგი“. შვილობილი საწარმო თანდათანობით იწყებს ფუნქციონირებას და მისი მთავარი საქმიანობა იქნება საკონსულტაციო მომსახურებები, საორგანიზაციო განვითარება, ხელმძღვანელობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მომსახურება მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ და შპს „კრისტალ კონსალტინგის“ („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული მმართველი გუნდი.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შესაძენად და სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდარვა ფილიალი (2022 წლის 31 დეკემბერი: ორმოცდაათი ფილიალი) აქვს, სათაო ოფისები კი - თბილისსა და ქუთაისში.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
AGRIF COÖPERATIEF U.A.	38.75%	38.75%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.37%	12.37%
ფონდი კრისტალი	0.09%	0.09%
ინდივიდუალური აქციონერები	48.79%	48.79%
სულ	100%	100%

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერები არიან „AGRIF COÖPERATIEF U.A.“ და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF“, 38.75% და 12.37%-იანი წილით (შესაბამისად).

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ჯგუფი საქართველოშია რეგისტრირებული და თავის სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს. ჯგუფი თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს ლიკვიდობის მიხედვით წარადგენს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მოკლევადიანი) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გრძელვადიანი) დავალიანების ამოღებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ანალიზი წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც: ა) კომპანიას აქვს ძალაუფლება თავის ინვესტირების ობიექტებზე; ბ) კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და გ) კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ამ ძალაუფლებით თავის უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

თუკი ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოთ მითითებული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი, ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს. როდესაც ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას იმ შემთხვევაში აქვს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, როცა ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობა. ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და ვითარებას ითვალისწინებს იმის შეფასებაში ჯგუფის ხმის უფლებები ინვესტირებულ საწარმოში შეესაბამება თუ არა მისთვის უფლებამოსილების გადაცემას, მათ შორის: ჯგუფის მიერ ფლობილი ხმის უფლებების ზომას, სხვა ხმის მფლობელების საკუთრების წილის ზომასთან და განაწილებასთან მიმართებაში; ჯგუფის, სხვა ხმის უფლების მფლობელების და სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებას; უფლებებს, რომლებიც სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებიდან წარმოიშობა და ნებისმიერ დამატებით ფაქტს და ვითარებას, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ჯგუფს შესწევს ან არ შესწევს უნარი შესაბამისი საქმიანობები განახორციელოს ისეთ დროს, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ხმის მიცემის შაბლონები, აქციონერთა წინა კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს ამგვარ კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც წყდება კომპანიის კონტროლი შვილობილ საწარმოზე. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტს. შვილობილი საწარმოების მთლიანი სრული შემოსავალი უკავშირდება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტებს, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს არასაკონტროლო პაკეტების ნაშთის დეფიციტს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ფუნქციონირებადი საწარმო - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ჯგუფს საკმარისი რესურსები აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად. ასევე იხილეთ 26-ე შენიშვნა.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ჯგუფი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამოსავალი მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებს (დაუკორექტირებელი), რომლებზეც საწარმოს წვდომა აქვს შეფასების თარიღში; მე-2 დონის ამოსავალი ინფორმაცია არის 1-ელ დონეში შესული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც ემპირიულია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან ირიბად; მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა - კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საქმიანობს ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარსადგენი ვალუტაა ლარი. თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

ურთიერთგაქვითვა - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ერთერთგაქვეითვის ან ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვეითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - შენიშვნები მოცემულია მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ციფრებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დამატებით, ე.ი. ფინანსური ღირებულებით ამორტიზებული ღირებულებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის კორექტირებამდე, გარდა შემდეგისა: ა) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, საწყისი აღიარებიდან ჯგუფი ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს კრედიტზე მორგებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს არ წარმოადგენს, მაგრამ შემდგომში გახდნენ გაუფასურებული ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნულად ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულად (FVTPL) კლასიფიცირებულების გარდა. ფინანსური აქტივებისთვის, შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ჯგუფი იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ამორტიზებულ ღირებულებაზე, ე.ი. მთლიან საბალანსო ღირებულებას გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოღებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ჯარიმებიდან შემოსავალი შესულია საპროცენტო შემოსავალში, როგორც საკრედიტო რისკის ნაგულისხმები კომპენსაცია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას ჯგუფი მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გამოყენებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო მოგებაში ან ზარალში ვადის გასვლისთანავე აღირიცხება. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება ამონაგებად მომსახურების გაწევისთანავე.

ყველა დანარჩენი საზღაურის და საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება საწყისი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ჯგუფი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს.

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა საწყისი აღიარებისას აღირიცხება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ფასის შესაბამისად (ე.ი. პირველი დღის მოგება ან ზარალი შეიცვლება მისი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

საწყისი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში რაციონალურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშვება ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები, აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ქვემოთ მოცემული შეფასების კატეგორიებიდან ერთ-ერთში: ამორტიზებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს („SPPI“) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანაც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

არა-სავაჭროდ გამიზნული საკუთარი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადაწყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული შეფასებულად ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ზემოთ განსაზღვრული ფორმით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

საწყისი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია გამოუხმობადად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ამგვარი ქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული ჯგუფის ფინანსური აქტივებია შემდეგი:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	SPPI	შეფასების კატეგორია
წარმოებული ფინანსურისხვა აქტივები	ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	FVTPL
ფულადი ნაშთები ბანკებში	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა მოთხოვნები	ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფი ახდენს იმ ბიზნესმოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. შესაბამისი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დამტკიცებული პოლიტიკები და პორტფელების მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმძღვანელობის სტრატეგია არის თუ არა ორიენტირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადების ნებისმიერი დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებაზე და ფულადი ნაკადების ამოთავისუფლებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელში არსებული ფინანსური აქტივების) შესრულების მაჩვენებლებზე და როგორ ხდება ამ რისკების მართვა;
- როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვის სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებელი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას საწყისი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის. ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ჯგუფი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი შედგება სახელშეკრულებო პირობისგან, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორიც ცვლადგანაკვეთიანი შესაძლებლობები;
- ავანსები და გახანგრძლივების შესაძლებლობები; და
- ვადებს, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ჯგუფის ფულადი ნაკადების მოთხოვნას (ე.ი. შემოუბრუნებელი შესაძლებლობები).

რეკლასიფიკაცია

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდის მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს. თუ ბიზნეს მოდელი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ფინანსური აქტივების ფლობს, შეიცვლება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნესმოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და შეუზღუდავ ნაშთებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 90 დღე ან მასზე ნაკლებია და ისინი თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არაწარმოებული ფინანსური აქტივებია. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სამართლიანი, ხოლო შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ხელშეკრულებებს და სავალუტო სვოპებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც ფორმდება წარმოებული ხელშეკრულება და შემდგომში ხელშეკრულებას ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილი საწარმო არის ორგანიზაცია, რომელსაც კომპანია აკონტროლებს. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წმინდა ინვესტიცია იჯარებში

იჯარის დაწყებისას, მეიჯარე მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნას იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ოდენობით. იჯარაში წმინდა ინვესტიცია წარმოადგენს შემდეგი ერთეულების თანხას, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით:

- ფინანსური იჯარის ფარგლებში მეიჯარის მიერ მისაღები საიჯარო გადახდები; და
- ნებისმიერი არა გარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელიც ერიცხება მეიჯარეს.

იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთი წარმოადგენს მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულებასთან განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს. ეს არის განაკვეთი, რომლითაც საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება და არა გარანტირებული ნარჩენი ღირებულება საიჯარო აქტივის სამართლიანი ღირებულების და მეიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების თანხას უტოლდება.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს იჯარის მიღების ზღვრულ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იჯარა არ გაფორმდებოდა.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარაში წმინდა ინვესტირების საწყის შეფასებაში და ის ამცირებს იჯარის ვადაზე აღიარებული შემოსავლის თანხას.

მეიჯარე ამცირებს წმინდა ინვესტიციას იჯარაში, მიღებულ გადახდებზე. მეიჯარემ უნდა აღიაროს ფინანსური შემოსავალი იჯარის ვადაზე, იჯარაში მეიჯარის მიერ განხორციელებულ წმინდა ინვესტიციაზე პერიოდული მუდმივი უკუგების განაკვეთის ამსახველი შაბლონის საფუძველზე. მეიჯარის მიზანია ფინანსური შემოსავლის განაწილება იჯარის ვადაზე, სისტემატიურ და რაციონალურ საფუძველზე. მეიჯარემ უნდა გამოიყენოს პერიოდთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები იჯარაში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციასთან მიმართებით, ძირითადი და გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირების მიზნით.

გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შემდეგ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული („POCI“) ფინანსური აქტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ზარალის რეზერვში ოდენობით, რომელიც უტოლდება:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევებს, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ელ სტადიას); ან
- არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესაბამება მე-2 და მე-3 სტადიებს).

ზარალის რეზერვი არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის დღევანდელი ღირებულების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ისინი ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების იმ პორტფელისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში, მათ შორის ინფორმაცია კოლექტიურ საფუძველზე ინსტრუმენტების შეფასებისას მათი დაჯგუფების შესახებ.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 სტადიის აქტივებს წარმოადგენს. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი მოვლენების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- მსესხებლის ფინანსური სირთულეებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა დათმობა, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიაზრებდა;
- აღნიშნული ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო; ან
- ფინანსური აქტივის ნასყიდობა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის გამოვლენა - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ან სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ნიშნები არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა გაიცეს, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, მათ შორის დეფოლტის განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დეფოლტის განმარტება (იხილეთ ქვემოთ) მოიცავს ნიშნებს და შემზღვევლების გადახდის შესაძლებლობის არარსებობას, თუ თანხა 90 დღეზე მეტი ვადით იქნება ვადაგადაცილებული.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები განსხვავებულად მუშავდება, რადგან აქტივი საწყისი აღიარებისას არის გაუფასურებული. ამგვარი აქტივებისთვის ჯგუფი აღიარებს ყველა ცვლილებას საწყისი აღიარების შემდეგ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში როგორც ზარალის რეზერვს, მოგებაში ან ზარალში აღიარებული ნებისმიერი ცვლილებით. ამგვარი აქტივების ხელსაყრელი ცვლილება წარმოქმნის გაუფასურების შემოსულობას.

დეფოლტის განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის დეფოლტის განმარტებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. დეფოლტის განმარტება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში და იმის განსაზღვრებაში ზარალის რეზერვი 12-თვიანი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს წარმოადგენს თუ არსებობს მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

დეფოლტი დეფოლტის ალბათობის (PD) კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ჯგუფი შემდეგ შემთხვევებს მიიჩნევს დეფოლტის შემთხვევად:

- მსესხებელს აქვს ჯგუფის წინაშე ნებისმიერი არსებითი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება; ან
- მსესხებელი სავარაუდოდ სრულად ვერ გადაიხდის ჯგუფის წინაშე არსებულ საკრედიტო ვალდებულებას.

დეფოლტის განმარტება განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის აქტივების განსხვავებული მახასიათებლების ასახვად. იმის შეფასებისას, მსესხებელი შესძლებს თუ არა მისი საკრედიტო ვალდებულების დაფარვას, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორები, როგორც არის ვადაგადაცილების სტატუსი და იმავე კონტრაქტის სხვა ვალდებულების არ დაფარვა, ამ ანალიზის მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემებია. ჯგუფი იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დეფოლტის შესაფასებლად, რომლებიც კომპანიის შიგნით შემუშავდება ან გარე წყაროებიდან მიიღება.

დეფოლტის განმარტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ჯგუფი აკონტროლებს ყველა ფინანსურ აქტივს, რომლებიც გაუფასურების მოთხოვნების საგანს წარმოადგენს იმის შესაფასებლად ჰქონდა თუ არა ადგილი საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში ჯგუფი ზარალის რეზერვს შეაფასებს როგორც არსებობის მანძილზე და არა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა არ უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ საანგარიშგებო თარიღში 'დაბალი' საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. შედეგად, ჯგუფი აკონტროლებს ყველა ფინანსურ აქტივს, რომელიც გაუფასურებას ექვემდებარება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამო.

იმის შეფასებისას, ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, ჯგუფი საანგარიშგებო თარიღში ინსტრუმენტის დარჩენილი დაფარვის ვადის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტზე წარმოშობილ დეფოლტის რისკს ადარებს წარმოშობილ დეფოლტის რისკს, რომელიც მოსალოდნელი იყო დარჩენილ დაფარვის ვადაზე მიმდინარე საანგარიშგებო თარიღში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი პირველად იქნა აღიარებული. ამ შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას, რომელიც გონივრული და საფუძვლიანია, მათ შორის განვლილ გამოცდილებას და საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯების და მცდელობების გარეშე, ჯგუფის განვლილი გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

საპროგნოზო ინფორმაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში.

სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი საწყისი აღიარებისას და შემდგომი საანგარიშგებო თარიღებში დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნიან. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი გამოიწვევს დეფოლტის განსხვავებულ შესაძლებლობას. ამ სხვადასხვა სცენარის შეწონვა ქმნის

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

საპროგნოზო ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის მომავალ პერსპექტივებს, რომლებიც ეკონომიკურ სფეროში მოდერნიზაციას ექსპერტების, ფინანსური ანალიტიკოსების, სახელმწიფო უწყებების, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და მსგავსი ორგანიზაციების ანალიზებს, ასევე ფაქტიური და საპროგნოზო ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებს ეყრდნობა.

ჯგუფი მის კონტრაქტებს შესაბამის შიდა საკრედიტო რისკის შეფასებას აძლევს, მათი საკრედიტო ხარისხიდან გამომდინარე. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- საანგარიშგებო თარიღისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა;
- დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების საწყისი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.

გამოყენებული დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს საპროგნოზო ინფორმაციას და ჯგუფი ამ მეთოდოლოგიას და მონაცემებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შესაფასებლად იყენებდა.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე მეტყველი თვისებრივი ფაქტორები სასწრაფო წესით აისახება დეფოლტის ალბათობის მოდელში. თუმცა, ჯგუფი კვლავ განცალკევებით ითვალისწინებს რამდენიმე თვისებრივ ფაქტორს, რათა შეაფასოს მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს გადახდასთან დაკავშირებულ შედარებებს და არასამუშაო დღეებს, საკრედიტო ქულებს და ისეთ მოვლენებს, როგორც არის უმუშევრობა, გაკოტრება ან გარდაცვალება.

იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ შედარებითი მოვლენაა და მოცემული ცვლილება დეფოლტის ალბათობაში მეტად მნიშვნელოვანი იქნება უფრო დაბალი თავდაპირველი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ვიდრე უფრო მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

შემაკავებელი ღონისძიების სახით, როდესაც აქტივი 30 დღის განმავლობაში იქნება ვადაგადაცილებული, ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოიშვა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და რომ აქტივი გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზეა, ე.ი. ზარალის რეზერვი ფასდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შემდეგი სახით:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტებისთვის: კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის რეზერვი არ აღიარდება, რადგან საბალანსო ღირებულება საბალანსო ღირებულებას არის გატოლებული.
- სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის: ანარიცხის სახით; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს გამოყენებულ და გამოუყენებელ კომპონენტს, ჯგუფს არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა სასესხო ვალდებულების კომპონენტზე, გამოყენებული კომპონენტებისგან განცალკევებით: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის კომბინირებულ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. კომბინირებული თანხა აღირიცხება გამოყენებული კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით. გამოყენებული კომპონენტის მთლიან თანხაზე ზარალის რეზერვის ნებისმიერი ზედმეტობა ანარიცხის სახით აღირიცხება.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის მოდიფიცირება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. მოდიფიცირება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე, მაშინვე ან მომავალ პერიოდებში.

ჯგუფი ახდენს ფინანსური სირთულეების მქონე მომხმარებლებზე გაცემული სესხების რესტრუქტურისა და სესხის დაბრუნების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირითადი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება.

ფინანსური აქტივის ცვლილებისას, ჯგუფი აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, მოდიფიცირება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის არსებითად განსხვავებულ პირობებს წარმოქმნის. იმის განსაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- ისეთი თვისებრივი ფაქტორები, როგორც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, მოდიფიცირების შემდეგ აღარ არიან წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ვალუტის ცვლილებას ან კონტრაპენტის ცვლილებას, საპროცენტო

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

განაკვეთების, ვადიანობის და ვალდებულებების ცვლილების დიაპაზონს. თუ ეს გარკვევით არ მეტყველებს არსებით მოდიფიკაციაზე, მაშინ;

- ტარდება რაოდენობრივი შეფასება, რათა მოხდეს თავდაპირველი პირობების ფარგლებში დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შედარება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შეცვლილი პირობების ქვეშ, როდესაც ორივე თანხა დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ დღევანდელი ღირებულებაში სხვაობა 10%-ზე მეტია, ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარიგება არსებითად განსხვავებულია და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება აღიარების შეწყვეტის თარიღში, რათა განისაზღვროს ამ თარიღში აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. სხვაობა ამ შეცვლილი საბალანსო ღირებულებასა და ახალი ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, ახალი პირობებით, აღიარების შეწყვეტისას გამოიწვევს შემოსულობას ან ზარალს. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე განისაზღვრება, გარდა იშვიათი ვითარებებისა, როდესაც მოიაზრება ახალი სესხის გაცემა - გაუფასურება. ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ახალი სესხის სამართლიანი ღირებულება აღიარდება მნიშვნელოვანი დისკონტირებით მის შეცვლილ ნომინალურ ღირებულებამდე, რადგან იარსებებს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც, არ შემცირებულა მოდიფიკაციის შედეგად. ჯგუფი აკონტროლებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის შეფასების გზით, თითქოს მსესხებელი ვადაგადაცილების სტატუსში იყოს, ახალი პირობების საფუძველზე.

როდესაც იცვლება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები და მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი განსაზღვრავს, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მოდიფიცირდება ჯგუფის რესტრუქტურისა და პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის სახით, როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, დეფოლტის ალბათობა ასახავს ჯგუფის უნარს მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები, ჯგუფის მსგავსი რესტრუქტურისა და პოლიტიკის ქმედების მქონე წინა გამოცდილების, ასევე სხვადასხვა ქვევითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდი მაჩვენებლების ჩათვლით, მოდიფიცირებულ სახელშეკრულებო პირობებში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად აღემატება საწყისი აღიარებისას მოსალოდნელს, ზარალის რეზერვის შეფასება გაგრძელდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. ზარალის რეზერვი წინამორბედი სესხებისთვის ზოგადად შეფასდება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც იარსებებს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა გააუმჯობესა გადახდის ქცევა, საკრედიტო რისკში წინა მნიშვნელოვანი ზრდის შემობრუნების შემდეგ განხორციელებული მოდიფიცირების გამო.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით). შემდეგ ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო უფლებებს აქტივის ფულად ნაკადებზე ვადა გაუვა (მათ შორის ვადის გასვლა

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

მოხდება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირებიდან), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ ჯგუფი არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას.

ჩამოწერა

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი აღდგება (მთლიანად ან ნაწილობრივ). ამ დროს ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების საქმიანობები, ფინანსური აქტივების ჩამოსაწერად. ჯგუფის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას გამოიწვევს.

ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ჯგუფისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ჯგუფი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული შემოსულობის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. ზღვრული დანახარჯები პირდაპირ მიკუთვნებადია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და წილობრივი ოფციონები აღიარდება საკუთარი კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტების გამოკლებით.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

პრივილეგირებული აქციები

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. პრივილეგირებული აქციები საკუთარი კაპიტალის სახით არის კლასიფიცირებული, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

საემისიო შემოსავალი

სააქციო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტიურად მიღებული გადახდების სამართლიან ღირებულებას შორის საემისიო შემოსავლის სახით აღიარდება.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი

ხელმძღვანელობის საინიციატივო გეგმის ფარგლებში, თანამშრომლები იღებენ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას.

თანამშრომლებისთვის მინიჭებული გადავადებული აქციების სამართლიანი ღირებულება ფასდება აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღში და აღიარდება აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვში. გადასაცემი აქციების რაოდენობა ფასდება უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობებში. შეფასებები იცვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვში.

დივიდენდები

ჯგუფის მიერ დივიდენდების გამოცხადება და გადახდა ექვემდებარება საქართველოს დადგენილ წესებსა და ნორმატიულ აქტებს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნებით, ამ დივიდენდების გამოცხადების პერიოდში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულება სავაჭროდ არის გამიზნული ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. მოგებაში ან ზარალში აღირიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან,

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, მათ შორის ნასესხები თანხები, გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება საოპერაციო დანახარჯები.

„სხვა ფინანსური ვალდებულებების“ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების განაგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. თუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან, შესაბამის შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საწყისი აღიარებისას არსებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში „წმინდა საპროცენტო შემოსავალი“ ზემოთ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ჯგუფი ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ერთ სავალო ინსტრუმენტს არსებითად განსხვავებული პირობების ინსტრუმენტში გადაცვლის, ამგვარი გადაცვლა აღირიცხება საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარების სახით. ამის მსგავსად ჯგუფი აღრიცხავს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის არსებით მოდიფიცირებას, საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ვალდებულების აღიარების სახით. კეთდება დაშვება, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებისგან.

უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღიარდება გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6177	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8591	2.8844

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას და განკუთვნილია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი	3-დან 6 წლამდე
IT აღჭურვილობა	3-დან 6 წლამდე
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	3-დან 5 წლამდე
სხვა	2-დან 6 წლამდე

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში, რათა შეფასდეს ხომ არ აღირიცხა ისინი მათი ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტებული ოდენობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო დანახარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯი იცვლება მომავალ პერიოდებში, რათა მოხდეს აქტივების შეცვლილი საბალანსო ღირებულების გადანაწილება, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სისტემატიურად მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების სასრული ვადა აქვთ და რომელთა შექმნაც განცალკევებით ხდება, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის აღრიცხვა ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს.

სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა აქვთ და რომელთა შექმნაც განცალკევებით ხდება, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე ვასდება მაშინ, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების ნიშნები.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობით, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის)

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში გაუქმდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის გაუქმების აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში.

დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. ჯგუფი დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმით და მათ მიიჩნევს შექმნილ აქტივად და ჩვეული საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის ერთეულებს და პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე მოსალოდნელი გადასახადის გადასახდელ თანხას საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებისა და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებსთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან საფინანსო დაწესებულებებისთვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი გარიგება მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დაკავშირებულ მხარეებთან ტრანს სასაზღვრო ოპერაციებისთვის და/ან გადასახადისგან გათავისუფლებული პირებიც მიიჩნევიან განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებას და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯს.

დივიდენდების გადახდიდან მიღებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი დივიდენდების გადახდის პერიოდში.

2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. კონკრეტული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო გაერთიანებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი საწარმოების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის საპროცენტო შემოსავლის და პოტენციური ზარალის რეზერვების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრის ჩათვლით. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების თანახმად:

- მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის წარმოადგენს სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ დაქვითვებს შორის.
- კომერციული ბანკები, საკრედიტო გაერთიანებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხებზე დარიცხულ პროცენტს აღიარებენ, როგორც შემოსავალს და სესხით შესაძლო ზარალის რეზერვს დაქვითავენ მთლიანი შემოსავლიდან, ფასს სტანდარტის შესაბამისად.
- მოგების გადასახადის განაკვეთი კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის 20%-ს შეადგენს.
- კომერციული ბანკების, საკრედიტო გაერთიანებების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი საწარმოების მიერ 2023 წლის და მომდევნო პერიოდების მოგებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა იყოს შესული დივიდენდების მიმღების მთლიან შემოსავალში.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებას შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში.

იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, ფილიალებში და მეკავშირე საწარმოებში, სადაც მშობელ საწარმოს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა განჭვრეტად მომავალში არ გაუქმდება. გადავადებული გადასახადის ნაშთები ფასდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც იგეგმება პერიოდზე, როდესაც დროებითი სხვაობები გაუქმდება ან გამოყენებული იქნება გადატანილი საგადასახადო ზარალი.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და მცირდება მაშინ, თუ აღარ არის სავარაუდო შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა სხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების საოპერაციო ხარჯების კომპონენტში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

აქციებზე დაფუძნებული გადახდასთან დაკავშირებული გარიგებები

თანამშრომლებისთვის აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღის მდგომარეობით მინიჭებული აქციებზე დაფუძნებული გადახდების სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ აღიარდება ხარჯში, საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდით, უფლების მინიჭების პერიოდზე. ხარჯად აღიარებული თანხა კორექტირდება იმ მინიჭებული უფლებების რაოდენობის ასახვად, რომლისთვისაც დაკავშირებული მომსახურება და არასაბაზრო შესრულების პირობები უნდა იყოს დაკმაყოფილებული, ისეთი ფორმით, რომ თავდაპირველად ხარჯში აღიარებული თანხა ეფუძნებოდეს მინიჭებული უფლებების რაოდენობას, რომელიც აკმაყოფილებს უფლების გადაცემის თარიღში შესაბამისი მომსახურების და არასაბაზრო მაჩვენებლების პირობებს. აქციებზე დაფუძნებული გადახდებისთვის, უფლების მინიჭების თარიღში წილობრივი გადახდის სამართლიანი ღირებულება ფასდება ამგვარი პირობების ასახვის მიზნით და არ არსებობს მოსალოდნელ და ფაქტობრივ შედეგებს შორის სხვაობების შესაბამისობა.

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულება ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და გადაიხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის შემდეგ. მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების საფუძველზე გადასახდელ თანხებზე, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა საიმედო სიზუსტით იქნას შეფასებული.

იჯარა

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, ხელშეკრულების ამოქმედების თარიღში. ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო გარიგებასთან მიმართებაში, რომელშიც ის მოიჯარის როლში გამოდის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისა (როგორც არის ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარებისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადასახდელს საოპერაციო ხარჯად, წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადაზე, სანამ სხვა სქემა უფრო ზუსტად არ ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი რთულად განსასაზღვრია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების ზრდის სახით, რათა მოხდეს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვა (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით) და საბალანსო ღირებულების შემცირებით, განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

ჯგუფი განმეორებით აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და აკეთებს აქტივის გამოყენების უფლების შესაბამის კორექტირებას) როდესაც:

- იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- საიჯარო გადახდები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).
- საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში მოდიფიცირებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფს არ განუხორციელებია ამგვარი ცვლილებები წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო გადასახდელების თავდაპირველ შეფასებას, დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადახდებს, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების და თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოკლებით. ისინი შემდეგ ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

როდესაც ჯგუფს წარმოექმნება საიჯარო აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, ასევე მათი განთავსების ადგილის ადდგენის ან საიჯარო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, ბას (IAS) 37-ის საფუძველზე აღიარდება და შეფასდება შესაბამისი ანარიცხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი აქტივის გამოყენების უფლებას უკავშირდება, ხარჯები შევა აქტივის გამოყენების შესაბამის უფლებაში, თუ ამგვარი ხარჯების გაწევა არ მოხდა მარაგების საწარმოებლად.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრების უფლებას ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებაზე ირიცხება ცვეთა საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის ვადის დაწყების თარიღში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსასაზღვრად, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებულია თუ არა, ჯგუფი ბასს (IAS) 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს (IFRS) 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არა საიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არა საიჯარო კომპონენტები, ინდივიდუალური გარიგების სახით. ჯგუფმა ისარგებლა ამ პრაქტიკული მიდგომით.

ჯგუფი არ არის წარმოდგენილი მეიჯარის სახით 2023 წლის 30 ივნისითა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული 6-თვიანი და 12-თვიანი პერიოდებისათვის, შესაბამისად.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სანდოობით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მოთხოვნის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მოთხოვნის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი სახსრების გასვლის ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლაა მოსალოდნელი.

უზრუნველყოფის საგანი

მომხმარებლის ვალდებულებასთან მიმართებაში ჯგუფი ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს მომხმარებლის აქტივებზე გიროს ფორმას და ჯგუფს ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას მომხმარებლის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

3. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფის ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასების და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა საპროგნოზო ინფორმაციას, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებებისა, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და შეფასება იმისა, ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას დაუფარავ ძირითად თანხაზე. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ მოცემულია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

- **მომავალზე ორიენტირებული სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრაივერების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრაივერების ერთმანეთზე მოქმედების წესს.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:** როგორც მე-3 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი სტადიის აქტივებისთვის, ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით - მე-2 და მე-3 სტადიის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 სტადიაში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება საწყისი აღიარების შემდეგ. ფასს (IFRS) 9 არ განსაზღვრავს რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ გონივრულ და მხარდამჭერს საპროგნოზო ინფორმაციას.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **დეფოლტის ალბათობა (PD):** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან შემავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

მნიშვნელოვანი განახლებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიაში

2020 წლიდან, მეთოდოლოგია, რომელიც დეფოლტის ალბათობას ითვალისწინებს, შეიცვალა; ჯგუფის დეფოლტის ალბათობის ნაცვლად, ინდივიდუალური სესხებისთვის დაანგარიშდება ერთი წლის დეფოლტის ალბათობა და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა. მიგრაციის მატრიცის ნაცვლად ვიყენებთ ბევრად უფრო ზუსტ და თანამედროვე მეთოდს: კოქსის პროპორციული რისკის მოდელი.

შეფასების მეთოდი გაუქმდა, რადგან შეფასების არსებობის ერთადერთი მოტივი იყო სესხების დაჯგუფება კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით და შემდეგ დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება მიგრაციის მატრიცის გამოყენებით.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

სტადიის გაუმჯობესების წესები მითითებული და სრულად ავტომატიზებულია. 2020 წლიდან ჯგუფმა დანერგა ხარვეზების გამოსწორების 6 და 12-თვიანი პერიოდი მე-2 და მე-3 სტადიის სესხებისთვის, შესაბამისად. ამასთან, იმავე მსესხებლების პარალელური სესხები განცალკევებით შეფასდა. ახალი მიდგომა სრულად შეესაბამება ბაზრის საუკეთესო პრაქტიკებს.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებთან მიმართებაში ანაზღაურების განაკვეთი დისკონტირდება მხოლოდ დეფოლტირებული სესხების ეფექტური განაკვეთით და არა ყველა სესხისთვის, როგორც ეს ადრე კეთდებოდა. ეს ცვლილება ძალიან ლოგიკურია, რადგან დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დაანგარიშებაში მხოლოდ დეფოლტებია გათვალისწინებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების პროცესი მაქსიმალურად ავტომატიზებული გახდა; საბოლოოდ, დეფოლტის ალბათობა, ეტაპების განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშება სრულდება R-ში, რაც პროცესს მეტად უსაფრთხოს, ხოლო მონაცემებს - უფრო მარტივად გასაკონტროლებელს ხდის.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 25-ე შენიშვნა.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება

ყველა დასაკუთრებული აქტივი ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ჯგუფი რეგულარულად ატარებს შიდა და გარე შეფასებებს, რათა დარწმუნდეს, რომ საბალანსო ღირებულება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას არ აღემატება. შეფასება საბაზრო ფასების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ეფუძნება, დასაკუთრებული უძრავი ქონების ერთი კვადრატული მეტრის საბაზრო ფასის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასება

როგორც 23-ე შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, თავის მხრივ არ ეფუძნება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. 23-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, ასევე ამ დაშვებებისთვის მგრძობელობის დეტალური ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შერჩეული შეფასების მეთოდები და გამოყენებული დაშვებები შესაბამისია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	6 თვე 2023	2022
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი:		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	52,645	97,596
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46	92
ინვესტიცია იჯარებში	2,014	3,371
სხვა შემოსავალი	1,471	2,028
	56,176	103,087
სხვა საპროცენტო შემოსავალი:		
შემოსავალი ჯარიმებიდან	2,284	4,766
სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებიდან	58,460	107,853
საპროცენტო ხარჯები		
ნასესხები სახსრები	(18,636)	(35,677)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(1,861)	-
მოზიდული თამასუქები	(7)	-
საიჯარო ვალდებულება	(276)	(611)
	(20,780)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	37,680	71,565

5. საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)

	6 თვე 2023	2022
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	4,604	20,846
უცხოური ვალუტით ვაჭრობის წმინდა ხარჯი	(2,605)	(15,299)
წმინდა საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი)	1,999	5,547

6. წმინდა საკომისიო შემოსავალი

	6 თვე 2023	2022
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი		
სესხთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები	595	1,058
ფულადი გზავნილები	281	649
კომუნალური მომსახურების გადახდა	24	42
სხვა საკომისიო შემოსავალი	140	61
	1,040	1,810
საკომისიო ხარჯი		
სხვა საკომისიო ხარჯი	(98)	(374)
	(98)	(374)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	942	1,436

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

7. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	6 თვე 2023	2022
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	967	1,828
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა და მომსახურება	597	1,309
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	454	802
სახარჯი მასალები და საოფისე აღჭურვილობა	446	870
გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	353	318
დაზღვევა	346	685
საბანკო ხარჯები	335	741
საწევრო საფასური	314	659
საწვავი და ტრანსპორტირება	208	453
მივლინება	193	280
მოკლევადიან იჯარასთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯი	181	483
მარკეტინგი და რეკლამა	175	415
უსაფრთხოება	96	180
რემონტი და ტექნომომსახურება	90	210
დასაქმებულ პირთა რეკრუტირება და სწავლება	78	145
ზარალი სხვა აუნაზღაურებელ აქტივებზე	69	194
ქველმოქმედება	3	80
სხვა	535	984
	5,440	10,636

8. დაბეგვრა

	6 თვე 2023	2022
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	992	1,374
	992	1,374
მომრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში დროებითი სხვაობების წარმოქმნისა ან/და გაუქმების გამო	-	(1,606)
სულ მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	992	(232)

31 დეკემბრით დასრულებული 2022 წლისთვის მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთია 15%. როგორც მე-2 შენიშვნაში განვიხილეთ, 2023 წლიდან მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-მდე გაიზარდა.

საანგარიშგებო პერიოდის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	6 თვე 2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	6,094	7,643
მოგების გადასახადი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით (2023 წ.: 20%; 2022 წ.: 15%)	1,219	1,146
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	-	(1,528)
საგადასახადო ეფექტი მუდმივ სხვაობებზე	(227)	150
სულ მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	992	(232)

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებები და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული თანხები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა ადრე გამოცხადებული გადასვლა „ესტონურ მოდელზე“ საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორისთვის. ამასთან, 2023 წლიდან მოგების გადასახადის სავალდებულო საგადასახადო განაკვეთი 15%-დან 20%-მდე გაიზარდა. 2022 წელს შეცვლილი საგადასახადო განაკვეთი გავრცელდა ყველა აქტივსა და ვალდებულებაზე, გარდა მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა, რამაც გამოიწვია გადავადებული საგადასახადო აქტივის 657 ათასი ლარით ზრდა.

მოძრაობა დროებით სხვაობაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

	<u>2022 წლის 1 იანვარი</u>	<u>მოგება- ზარალში აღიარებული თანხა</u>	<u>საგადასახადო კანონმდებლო- ბაში შესული ცვლილების ეფექტი</u>	<u>2022 წლის 31 დეკემბერი</u>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,544	(256)	1,364	2,652
ძირითადი საშუალებები	63	(19)	15	59
აქტივის გამოყენების უფლება	-	(1,222)	(408)	(1,630)
არამატერიალური აქტივები	119	72	64	255
ნასესხები სახსრები	(312)	296	(5)	(21)
საიჯარო ვალდებულება	125	1,093	406	1,624
სხვა ვალდებულებები	160	114	92	366
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	<u>1,699</u>	<u>78</u>	<u>1,528</u>	<u>3,305</u>

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	15,815	14,212
საბანკო ნაშთები	18,045	13,600
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,860	27,812

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ჯგუფის ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და ისინი გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობებისთვის.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბანკში არსებული ნაღდი ფულის ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

10. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები	18,083	8,032
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	18,083	8,032

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოიცავს უცხოური ვალუტის ხელშეკრულებებს.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე 5,985 ათასი ლარისა და 17,389 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, წარმოადგენს ჯგუფის მოგებაზე ამ გარიგებების წმინდა გავლენას. ეს თანხები მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს, ანუ ნებისმიერ საზღაურს ან პროცენტს, რომლებიც ამ ჰეჯირების ინსტრუმენტს ერიცხება, ასევე კორექტირების ეფექტს მათი სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად.

სავალუტო სვოპები

ჯგუფი ბანკებისგან იმავე ბანკში უცხოურ ვალუტაში შესრულებული ანაბრებით უზრუნველყოფილი საკომპენსაციო სესხების არაწარმოებულ გარიგებებს წარმოებულ ინსტრუმენტებში აერთიანებს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარიგებები (ანაბრის განთავსება

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

და სესხის აღება) არსებითად წარმოებულ ინსტრუმენტს წარმოქმნის. დასკვნა შემდეგ ინდიკატორებს ეფუძნება:

- ისინი ფორმდება ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით;
- მათ ერთი და იგივე კონტრაპენტი ჰყავთ;
- ისინი ერთსა და იმავე რისკთან არიან დაკავშირებული;
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურულიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებისა და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები

ფორვარდი არის გარიგება ორ მხარეს შორის, რომ გაცვალონ ფულადი ნაკადები საამისოდ შეთანხმებული დროითი ინტერვალისა და თანხების გათვალისწინებით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში ჯგუფი იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში. სავალუტო ფორვარდები ერთიანად იფარება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს არადისკონტირებული სახელშეკრულებო თანხების ნაშთებს, რომელთაც 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარკვეული დრო რჩებათ საკონტრაქტო დაფარვის ვადამდე. ქვემოთ წარმოდგენილი უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალში და მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ვითარებიდან გამომდინარე.

	პირობითი თანხა	
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	131,670	-
3-დან 12 თვემდე	-	134,830
	131,670	134,830
აშშ დოლარის გაყიდვა ევროს ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	7,258	2,162
	7,258	2,162
აშშ დოლარის გაყიდვა შვეიცარიული ფრანკის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	2,909	-
	2,909	-
აშშ დოლარის გაყიდვა რუსული რუბლის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	59	-
	59	-
ლარის გაყიდვა ევროს ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	596	-
	596	-

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ლარის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა 3 თვეზე ნაკლები	8,200	-
	8,200	-
ევროს გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა 3 თვეზე ნაკლები	3,502	-
	3,502	-
შვეიცარიული ფრანკის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა 3 თვეზე ნაკლები	584	-
	584	-
11. მომხმარებლებზე გაცემული სესხები		
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი თანხა	395,849	390,322
დარიცხული პროცენტი	13,007	12,235
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(13,647)	(13,762)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	395,209	388,795
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:		
მიკრო ბიზნეს-სესხები	104,922	94,596
სასოფლო-სამეურნეო სესხები	94,425	81,955
სამომხმარებლო სესხები	78,344	75,165
განვადებები	47,527	47,571
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	44,313	44,775
სალომზარდო სესხები	20,010	36,006
იპოთეკური სესხები	19,315	22,489
სულ საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები	408,856	402,557
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(13,647)	(13,762)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	395,209	388,795

მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ჯამდება ერთგვაროვანი პროდუქტის ჯგუფების მიხედვით, როდესაც თითოეულ ჯგუფში სესხები მსგავსი მახასიათებლებით ხასიათდება, მათი მაჩვენებლების, დაკავშირებული რისკებისა და საბაზისო ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:			
მიკრო ბიზნეს-სესხები	104,922	(2,965)	101,957
სასოფლო-სამეურნეო სესხები	94,425	(5,989)	88,436
სამომხმარებლო სესხები	78,344	(1,898)	76,446
განვადებები	47,527	(293)	47,234
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	44,313	(2,165)	42,148
სალომზარდო სესხები	20,010	(96)	19,914
იპოთეკური სესხები	19,315	(241)	19,074
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	408,856	(13,647)	395,209

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:			
მიკრო ბიზნეს-სესხები	94,596	(2,699)	91,897
სასოფლო-სამეურნეო სესხები	81,955	(6,091)	75,864
სამომხმარებლო სესხები	75,165	(1,648)	73,517
განვადებები	47,571	(371)	47,200
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	44,775	(2,473)	42,302
სალომზარდო სესხები	36,006	(139)	35,867
იპოთეკური სესხები	22,489	(341)	22,148
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	402,557	(13,762)	388,795

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

12. წმინდა ინვესტიცია იჯარებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საინვესტიციო სექტორის მიხედვით 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
ინვესტიცია იჯარებში:			
მშენებლობა	3,765	(97)	3,668
ვაჭრობა	2,040	(20)	2,020
სამომხმარებლო	1,731	(23)	1,708
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	1,529	(13)	1,516
მომსახურება	1,346	(38)	1,308
წარმოება	841	(5)	836
სოფლის მეურნეობა	658	(51)	607
სილამაზე და ჯანდაცვა	514	(5)	509
უძრავი ქონების განვითარება ან/და მენეჯმენტი	89	-	89
ტურიზმი	20	-	20
მეცნიერება და განათლება	9	-	9
ტელეკომუნიკაცია	8	-	8
სხვა	7	-	7
მთლიანი ინვესტიცია იჯარებში	12,557	(252)	12,305

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საინვესტიციო სექტორის მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
ინვესტიცია იჯარებში:			
მშენებლობა	3,215	(94)	3,121
ვაჭრობა	1,364	(12)	1,352
სამომხმარებლო	1,312	(19)	1,293
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	1,054	(21)	1,033
მომსახურება	1,026	(13)	1,013
წარმოება	654	(6)	648
სოფლის მეურნეობა	708	(39)	669
სილამაზე და ჯანდაცვა	546	(7)	539
უძრავი ქონების განვითარება ან/და მენეჯმენტი	117	(1)	116
ტურიზმი	27	(1)	26
მეცნიერება და განათლება	11	-	11
სასტუმრო, სარესტორნო და კვების ინდუსტრია	4	-	4
სხვა	16	-	16
მთლიანი ინვესტიცია იჯარებში	10,054	(213)	9,841

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	IT აღჭურ- ვილობა	საიჯარო გაუმჯობე- სებები	სხვა	სულ
დანახარჯები						
2023 წლის 1 იანვარს	105	1,194	1,378	6,088	4,262	19,588
შესყიდვები	-	13	39	138	45	280
გასვლები	-	(38)	(1)	-	(82)	(121)
2023 წლის 30 ივნისს	105	1,169	1,416	6,226	4,307	19,747
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის 1 იანვარს	(53)	(1,019)	(1,232)	(3,678)	(3,799)	(15,616)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2)	(55)	(48)	(382)	(139)	(894)
გასვლების ელიმინირება	-	38	1	-	80	119
2023 წლის 30 ივნისს	(55)	(1,036)	(1,279)	(4,060)	(3,938)	(16,391)
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 30 ივნისს	50	133	137	2,166	369	3,356

	შენიშნა- ნაგებობები	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	IT აღჭურ- ვილობა	საიჯარო გაუმჯობე- სებები	სხვა	სულ
დანახარჯები						
2022 წლის 1 იანვარს	105	1,189	1,340	5,116	4,166	18,493
შესყიდვები	-	5	58	1,223	190	1,739
გასვლები	-	-	(20)	(251)	(94)	(644)
2022 წლის 31 დეკემბერს	105	1,194	1,378	6,088	4,262	19,588
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარს	(49)	(904)	(1,134)	(3,001)	(3,569)	(14,216)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4)	(115)	(118)	(777)	(322)	(1,885)
გასვლების ელიმინირება	-	-	20	100	92	485
2022 წლის 31 დეკემბერს	(53)	(1,019)	(1,232)	(3,678)	(3,799)	(15,616)
საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერს	52	175	146	2,410	463	3,972

სხვა ძირითადი საშუალებები უმეტესად მოიცავს უსაფრთხოების სისტემებსა და გენერატორებს. 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული 6-თვიანი და 12-თვიანი პერიოდების განმავლობაში, შესაბამისად, ძირითადი საშუალებების შეძენასა თუ მშენებლობასთან დაკავშირებით ნასესხები სახსრების დანახარჯების კაპიტალიზაცია არ მომხდარა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

	შენიშვნა-ნაგებობები და ოფისები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
დანახარჯები			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	17,571	1,442	19,013
შესყიდვები	-	-	-
გაუქმებები	-	-	-
იჯარების მოდიფიცირება	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისს	17,571	1,442	19,013
ცვეთა			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(9,646)	(1,215)	(10,861)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,696)	(114)	(1,810)
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისს	(11,342)	(1,329)	(12,671)
საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 30 ივნისს	6,229	113	6,342
	შენიშვნა-ნაგებობები და ოფისები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
დანახარჯები			
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	14,010	1,483	15,493
შესყიდვები	2,564	65	2,629
გაუქმებები	-	(106)	(106)
იჯარების მოდიფიცირება	997	-	997
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	17,571	1,442	19,013
ცვეთა			
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(6,245)	(953)	(7,198)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,401)	(262)	(3,663)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(9,646)	(1,215)	(10,861)
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერს	7,925	227	8,152

საანგარიშგებო პერიოდების მანძილზე მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში იყო შემდეგი:

	6 თვე 2023	2022
ნაშთი 1 იანვარს	8,121	9,127
შესყიდვები	-	2,629
გაუქმებები	-	(111)
მოდიფიცირება	-	997
საპროცენტო ხარჯი	276	611
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(226)	(897)
საიჯარო პროცენტის დაფარვა	(312)	(675)
იჯარის ძირითადი თანხის დაფარვა	(1,648)	(3,560)
ნაშთი 30 ივნისს / 31 დეკემბერს	6,211	8,121

აქტივის გამოყენების უფლებისთვის იჯარის საშუალო შეწონილი ვადა 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.4 წელია, ხოლო მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ვალდებულებებზე, არის 8.1%.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

საიჯარო ვალდებულება	2023 წლის 30 ივნისი ფინანსური იჯარის ფარგლებში გადასახდელი თანხები	2022 წლის 31 დეკემბერი ფინანსური იჯარის ფარგლებში გადასახდელი თანხები
ვადიანობის ანალიზი		
1-ლი წელი	3,124	3,862
მე-2 წელი	2,150	2,612
მე-3 წელი	973	1,799
მე-4 წელი	300	330
მე-5 წელი	217	288
მეტ	140	226
გამოკლებული: მომავალი პროცენტი	(693)	(996)
სულ საიჯარო ვალდებულება	6,211	8,121

მოგებასა და ზარალში აღიარებული თანხა	6 თვე 2023	2022
ცვეთის ხარჯი	(1,810)	(3,663)
საპროცენტო ხარჯი	(276)	(611)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	226	897
მოკლევადიან იჯარასთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯები	(181)	(483)
იჯარის გაუქმებით მიღებული შემოსულობა	-	5
სულ	(2,041)	(3,855)

15. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
დანახარჯები	
2022 წლის 1 იანვარს	7,934
შესყიდვები	955
2022 წლის 31 დეკემბერს	8,889
შესყიდვები	974
2023 წლის 30 ივნისს	9,863
დაგროვილი ამორტიზაცია	
2022 წლის 1 იანვარს	(3,440)
წლის ამორტიზაცია	(1,302)
2022 წლის 31 დეკემბერს	(4,742)
წლის ამორტიზაცია	(739)
2023 წლის 30 ივნისს	(5,481)
საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერს	4,147
2023 წლის 30 ივნისს	4,382

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, მათ შორის ადგილობრივად შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას 757 ათასი ლარის (2021 წ.: 596 ათასი ლარი) ოდენობით.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

16. სხვა აქტივები

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
სხვა მოთხოვნები	2,171	2,774
დღგ-ის მოთხოვნა	-	1,020
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(121)	(142)
სულ სხვა ფინანსური აქტივები	2,050	3,652
გადახდილი ავანსი	1,693	1,122
დასაკუთრებული აქტივები	1,486	1,277
გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	384	-
მარაგები	119	149
იჯარით გასაცემი წმინდა აქტივები	-	136
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	3,682	2,684
სულ სხვა აქტივები	5,732	6,336

17. ნასესხები სახსრები

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული პროცენტისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტის და ლიკვიდური რისკის ზომის შესახებ იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან	313,140	342,923
სუბორდინირებული ვალი	16,253	13,576
სულ ნასესხები სახსრები	329,393	356,499
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი თანხა	324,257	350,280
დარიცხული პროცენტი	5,136	6,219
სულ ნასესხები სახსრები	329,393	356,499

ჯგუფის ნასესხები სახსრების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება იყო შემდეგი:

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	199,615	187,293
მოკლევადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	129,778	169,206
სულ ნასესხები სახსრები	329,393	356,499

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

სუბორდინირებული ვალი

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი არის სესხი უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისგან „Bank Im Bistum Essen E.G.“ არის მიღებული, ვადა 2025 წელს გასდის და შეადგენს 5,267 ათას და 5,435 ათას ლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9%.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი ასევე არის სესხი უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისგან „Covid-19 Emerging and Frontier Markets MSME Support Fund SCSp SICAV-RAIF“, „BlueOrchard Invest S.a.r.l.“-ის წარმომადგენლობით არის მიღებული, ვადა 2027 წელს გასდის და შეადგენს 7,891 ათას და 8,141 ათას ლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთით 7.8%.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი ასევე არის სესხი უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისგან „Pettelaar Effectenbewaarbedrijf N.V.“, „Triple Jump B.V.“-ის წარმომადგენლობით არის მიღებული, ვადა 2029 წელს გასდის და შეადგენს 3,095 ლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9.2%.

გაკოტრების შემთხვევაში სუბორდინირებული ნასესხები სახსრების დაფარვა განხორციელდება ჯგუფის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი ნასესხები სახსრების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

				2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
		ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ვალუტა					
არაუზრუნველყოფილი სესხები	ლარი	13.50% - 16.50%	2023 – 2027	195,512	211,955
საფინანსო დაწესებულებებისგან					
არაუზრუნველყოფილი სესხები	აშშ	2.48% - 9.89%	2023 – 2028	117,628	130,968
საფინანსო დაწესებულებებისგან	დოლარი				
არაუზრუნველყოფილი	აშშ	7.80% - 9.20%	2025 – 2029	16,253	13,576
სუბორდინირებული ვალი	დოლარი				
სულ ნასესხები სახსრები				329,393	356,499

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯგერება

	2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში		2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში		საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება 2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში		2023 წლის 30 ივნისი
	მიღებული სესხები	დაფარული სესხები	2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2023 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	
ნასესხები სახსრები	356,499	102,950	(124,434)	18,636	(19,719)	(4,539)	329,393
	2022 წლის 1 იანვარი		2022 წლის 1 იანვარი		საკურსო სხვაობით განპირობებული მოგება 2022 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი
	მიღებული სესხები	დაფარული სესხები	2022 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2022 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2022 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	2022 წლის ნახევარწლიური პერიოდის განმავლობაში	
ნასესხები სახსრები	314,405	238,304	(175,210)	35,677	(34,148)	(22,529)	356,499

აუთვისებელი საკრედიტო ხაზები

2022 წლის ივნისის თვეში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“ ხელმისაწვდომი ხაზით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც ვადა 2023 წელს გასდის.

2022 წლის სექტემბრის თვეში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“ ხელმისაწვდომი ხაზით 6,250 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც ვადა 2023 წელს გასდის.

2023 წლის ივნისის თვეში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“ ხელმისაწვდომი ხაზით 10,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც ვადა 2024 წელს გასდის.

კოვენანტის მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ განხილული სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

2022 წელს ადგილი ჰქონდა ვალდებულების რამდენიმე დარღვევას. ჯგუფმა ყველა კონტრაპენტს მიაწოდა ინფორმაცია და მიიღო წერილობითი ნებართვის წერილები 2022 წლის დასრულებამდე. შედეგად, შესაბამისი ვალდებულებები სასწრაფო წესით დასაფარი არ არის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთისა და ლიკვიდური რისკის ზომის შესახებ იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი თანხა	24,764	-
დარიცხული პროცენტი	1,561	-
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,325	-

ჯგუფის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება იყო შემდეგი::

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	24,764	-
მიმდინარე ვალდებულებები		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,561	-
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,325	-

კორპორატიული ობლიგაციები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ 2023 წლის თებერვლის თვეში გამოშვებულ კორპორატიულ ობლიგაციას, ნომინალური ღირებულებით 25 მილიონი ლარი, რომლის დაფარვის ვადა 2025 წლის თებერვალია. ობლიგაციების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება თბილისის ბანკთაშორის წლიურ განაკვეთს დამატებული 4.75%-ით.

ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი სავალო ფასიანი ქაღალდების პირობები შემდეგია:

			2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადის ამოწურვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	ლარი	4.75%+ თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი (TIBR))	2025	26,325	-
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები				26,325	-

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯგერება:

	2023 წლის ნახევარწლიურ ი პერიოდის განმავლობაში გამოშვებული 2023 წლის 1 იანვარი	2023 წლის ნახევარწლიურ ი პერიოდის განმავლობაში დაფარული სავალო ფასიანი ქაღალდები	2023 წლის ნახევარწლიურ ი პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2023 წლის ნახევარწლიურ ი პერიოდის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებულ ი მოგება 2023 წლის ნახევარწლიურ ი პერიოდის განმავლობაში	2023 წლის 30 ივნისი
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	25,000	(236)	1,861	(300)	-
						26,325

კოვენანტის მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ განხილული სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

19. სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
მომავალი დაფარვისთვის მიღებული გადახდები	7,447	7,300
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	2,839	3,191
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	439	321
დასაქმებულთა ანაზღაურების დარიცხვები	379	1,672
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,104	12,484
გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	-	29
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	20	21
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	20	50
სულ სხვა ვალდებულებები	11,124	12,534

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი დაფარვისთვის მიღებული გადახდები 7,447 ათასი ლარისა და 7,300 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად) წარმოადგენს მომხმარებლების მიერ გადახდილ თანხებს, რითაც იფარება მათი შესაბამისი სასესხო ვალდებულებები, თუმცა, კლიენტთა გადაწყვეტილებისა და პრეფერენციების საფუძველზე, შემოტანა გარკვეული პერიოდით ადრე ხდება, მათ სახელშეკრულებო გრაფიკებთან მიმართებაში. ჯგუფი ამგვარ წინსწრებით დაფარვას აჩერებს გარდამავალ ანგარიშზე - როგორც ვალდებულებას მომხმარებლების წინაშე - გრაფიკით განსაზღვრული ფაქტობრივი გადახდის თარიღამდე და სასწრაფო წესით არ მიმართავს თანხებს სესხების დასაფარად, რაც მომხმარებლებზე წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დარიცხვას გამოიწვევდა. თანხები ყოველთვის იფარება ერთი თვის ვადაში და შესულია ლიკვიდობის ყველაზე ადრეულ ფულში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ 439 ათასი ლარისა და 321 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად) წარმოადგენს სესხის დაფარვას მომხმარებელთა ფაქტობრივად დასაფარ თანხებზე მეტი ოდენობით. თანხები მომხმარებლების წინაშე ჯგუფის ვალდებულებად რჩება 3 წლის განმავლობაში სესხის დახურვის შემდეგ, რა დროის მანძილზეც მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს თანხა. სამ-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ თანხები ჯგუფის მოგებაში აღიარდება.

20. სააქციო კაპიტალი და რეზერვი

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

პარტნიორი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლებები	კაპიტალი ათასი ლარი
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,186,157	ჩვეულებრივი	38.75%	38.75%	1,185
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	ჩვეულებრივი	12.37%	12.37%	379
ფონდი კრისტალი	2,682	ჩვეულებრივი	0.09%	0.09%	3
ინდივიდუალური აქციონერები	1,493,624	ჩვეულებრივი	48.79%	48.79%	1,494
	3,061,182		100.00%	100.00%	3,061
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	პრივილეგირებული	53.12%	0.00%	305
AGRIF COÖPERATIEF U.A.	268,781	პრივილეგირებული	46.88%	0.00%	269
	573,394		100.00%	0.00%	574

სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პარტნიორი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლებები	კაპიტალი ათასი ლარი
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,186,157	ჩვეულებრივი	38.75%	38.75%	1,185
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	ჩვეულებრივი	12.37%	12.37%	379
ფონდი კრისტალი	2,682	ჩვეულებრივი	0.09%	0.09%	3
ინდივიდუალური აქციონერები	1,493,624	ჩვეულებრივი	48.79%	48.79%	1,494
	3,061,182		100.00%	100.00%	3,061
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	პრივილეგირებული	53.12%	0.00%	305
AGRIF COÖPERATIEF U.A.	268,781	პრივილეგირებული	46.88%	0.00%	269
	573,394		100.00%	0.00%	574

ყველა ჩვეულებრივ აქციას აქვს ნომინალური ღირებულება 1 ლარი და ისინი სრულად არის დაფარული.

ყველა ჩვეულებრივი აქციას თანაბარი ადგილი უჭირს ჯგუფის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

საემისიო შემოსავალი

საემისიო შემოსავალი წარმოადგენს თანხას, რაც მიღებულ იქნა აქციის სარეგისტრაციო ღირებულების გარდა. ამის გენერირება შესაძლოა იმავე წყაროებით, როგორც სააქციო კაპიტალის: 1) აქციების ფაქტობრივი გამოშვება და 2) MIP-ის ფარგლებში.

საემისიო შემოსავალი 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 22,110 ათას ლარს.

დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე ჯგუფის წლიურ და საერთო კრებებზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებასა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე 2023 წლის 6-თვიანი პერიოდისა და 2022 წლისთვის შესაბამისად გამოცხადდა 494 ათასი ლარისა და 997 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც ჯგუფის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია შესული.

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ჯგუფის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საგადასახადო გარემო

საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლოა ერთზე მეტი ინტერპრეტაციის საგანი იყოს. ამასთან, არსებობს რისკი იმისა, რომ საგადასახადო უწყება ორაზროვან დასკვნას გამოიტანს ბიზნეს საქმიანობის შესახებ. თუ საგადასახადო უწყება ეჭვქვეშ დააყენებს ჯგუფის ბიზნეს-საქმიანობის შესახებ ხელმძღვანელობის განჯის საფუძველზე მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებას, შესაძლოა ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახადო, ჯარიმები და პროცენტი.

საქართველოს კანონმდებლობა სატრანსფერო ფასწარმოების შესახებ 2014 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტური მოთხოვნების დანერგვის მიზნით. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო უწყებას საშუალებას აძლევს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონკრეტულ ოპერაციებთან მიმართებით, მათ შორის,

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

შეუზღუდავად, დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებით, თუ ოპერაციის შეფასება არ მოხდება გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. საგადასახადო უწყებების მიერ ჯგუფის სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიდგომის ექვემდებარება დაყენების ალბათობა და გავლება საიმედოდ ვერ ფასდება.

ამგვარი განუსაზღვრელობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, გაუფასურების ზარალის ანარიცხისა და გარიგებების საბაზრო ფასის შეფასებას. გარდა ამისა, ეს განუსაზღვრელობა შეიძლება ასევე შეეხოს მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნისა და შებრუნების დროებითი სხვაობების შეფასებას, და ჩაითვალოს დასაბეგრი მოგების შემცირებად. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და, შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის შესაბამისი რეზერვი არ არის შექმნილი.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე, განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით, განსხვავებული ინტერპრეტაციებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს, მთავრობის მიერ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკვალა, თუმცა გაცილებით მეტია მოსალოდნელი საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

საქართველოს ფინანსური სექტორი განაგრძობდა ზრდას 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით სექტორი კარგად იყო მომზადებული პანდემიით გამოწვეული სირთულეებისთვის. ფინანსური სექტორი და ბიზნეს საზოგადოება უფრო მკაცრი საოპერაციო გარემოს გავლენის ქვეშ იყო და შეამცირა ბიზნეს საქმიანობები პანდემიის, იმ ზეწოლის გამო, რომლებმაც წინა წელს გაზრდილი რისკები წარმოქმნა.

2021 წელს, საქმიანობებზე შეზღუდვების უმეტესობის აღმოფხვრის შემდეგ, ეკონომიკამ სწრაფი ტემპით აღდგენა დაიწყო. მთავრობამ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან (სებ) ერთად საჭირო დახმარება გაუწია ბიზნესს და ფინანსურ სექტორს. მთავრობამ მრავალი პროგრამა შეიმუშავა, რომლებიც საგადასახადო შეღავათებს, სესხის რესტრუქტურის პროგრამებს, პროცენტის სუბსიდირებას მოიცავდა. სებ-ის მიერ გაცემული ინიციატივები მიმართული იყო სექტორის გადახდისუნარიანობის შესაძლებლობების ზრდაზე, კაპიტალთან და ლიკვიდობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დროებით შემსუბუქების გზით.

ჯგუფი მუდმივად აფასებს კოვიდ-19-ის გლობალური პანდემიის ეფექტს მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია მის ოპერაციებსა და მისი მომსახურებების მოთხოვნაზე 2022-2023 წლებში.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კონტროლისშემცველი კავშირები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერები არიან „AGRIF COÖPERATIEF U.A.“ და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF“ 38.75% და 12.37%-იანი წილით (შესაბამისად) (იხილეთ 1-ლი შენიშვნა).

ოპერაციები სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან

თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება და ხელმძღვანელობის საკონსულტაციო მომსახურების საფასური 2023 წლის ნახევარწლიური პერიოდისა და 2022 წლისათვის ასეთია:

	6 თვე 2023	2022
ხელფასები და ბონუსები	1,001	1,458
საკონსულტაციო მომსახურების საფასური	246	539
	1,247	1,997

დაკავშირებულ მხარეთა სხვა ოპერაციები

	საკომისიო		სხვა	სხვა
	ხარჯი 6 თვე 2023	ხარჯი 2022	ვალდებულებები 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სხვა				
სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯია“*	-	360	-	-
	-	360	-	-

*სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯიას“ ფლობს ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრი.

ეს ხარჯები წარმოადგენს ფულის განაღდებას საფასურს, რომელიც არსებითად სამომხმარებლო ხარჯია, მაგრამ ჯგუფი ფარავს მას პროცესის გამარტივებისა და კონკრეტული ტექნიკური სირთულეების თავიდან არიდების მიზნით - 0 ათასი ლარი (2022 წ.: 360 ათასი ლარი). სხვა ტიპის ხარჯები, რაც უკავშირდება პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებასა და მომსახურების ინტეგრირების საფასურს, 2020 წლის შემდგომ აღარ გაწეულა, შესაბამისი სამუშაოების დასრულების გამო.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფას სტანდარტებში განსაზღვრულია, რომ სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს. ხელმძღვანელობა ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და არაემპირიული ამოსავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ასევე გამოიყენება მოთხოვნამდე ანაზრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე, დაფარვის ვადის გარეშე.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან მოთხოვნებს და ვალდებულებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მისაღებ საპროცენტო ფულად ნაკადებს, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადასა და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები - სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელების შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით ნასესხები სახსრების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

საიჯარო ვალდებულება - საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით შემცირებულ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადიანობაზე. საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მის თვითღირებულებას უახლოვდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულება, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	2023 წლის 30 ივნისი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
		ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1-ლი დონე	33,860	33,860	27,812	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	395,209	404,171	388,795	397,757
წმინდა ინვესტიცია					
იჯარებში	მე-3 დონე	12,305	12,305	9,841	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	2,050	2,050	3,652	3,652
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	329,393	329,556	356,499	356,662
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	მე-3 დონე	26,325	26,325	-	-
მოზიდული თამასუქები	მე-3 დონე	115	115	-	-
საიჯარო ვალდებულება	მე-3 დონე	6,211	6,211	8,121	8,121
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	11,104	11,104	12,484	12,484

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ (კონკრეტულად, შეფასების მეთოდ(ებ)ი და გამოყენებული ამოსავალი მონაცემები).

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	სამართლიანი ღირებულება			შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემ(ებ)ი	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების და მნიშვნელოვანი დამოკიდებულებების დასახელება	არაემპირიული ამოსავალი მონაცემების და მნიშვნელოვანი დამოკიდებულებების დასახელება
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი	სამართლიანი ღირებულებების იერარქია			
	სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	18,083	8,032			

ჯგუფი იყენებს ფართოდ აღიარებულ შეფასების მოდელებს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლის ხელშეკრულებები და სავალუტო სვოპები, რომლისთვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს ნაკლებ განსჯას და შეფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან.

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების შექმნა; და
- აქციონერებისთვის ადეკვატური უკუგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და საიჯარო აქტივების რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი შესაბამისობაშია მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური ნორმატივები, როგორც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაგირავებული აქტივებისა და ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- 2018 წლის 1 სექტემბერი - 2018 წლის 31 დეკემბერი: სულ მცირე 16%
- 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 30 ივნისი: 16-18%
- 2019 წლის 1 ივლისის შემდეგ - სულ მცირე 18%

ფინანსურ სექტორზე კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, სებ-მა გამოსცა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ცალკეული შემთხვევების საფუძველზე. ჯგუფი შეესაბამებოდა მოთხოვნებს მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე საანგარიშგებო თარიღების მდგომარეობით (2023: 18%; 2022: 16%).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაანგარიშების საფუძველია სებ-ის წესები და გაიდლაინები, რომლებიც მარეგულირებლის მიერ არის გაცემული, და არა ფასს სტანდარტები:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
 (ათას ლარში)

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
სააქციო კაპიტალი	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება	52,527	50,506
უფლებამოსილი სუბორდინირებული ვალი	11,518	8,646
მარეგულირებელი კაპიტალი შემცირებამდე	89,790	84,897
მინუს არამატერიალური აქტივები	(4,316)	(3,689)
მინუს შვილობილ საწარმოში ინვესტიცია	(385)	(340)
მარეგულირებელი კაპიტალი	85,089	80,868
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
სულ აქტივები დაქვითვებამდე	466,812	455,036
მინუს არამატერიალური აქტივები	(4,316)	(3,689)
მინუს შვილობილ საწარმოში ინვესტიცია	(385)	(340)
სულ აქტივები დაქვითვების შემდეგ	462,111	451,007
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.41%	17.93%

ჯგუფი ასევე აკონტროლებს თავის კაპიტალის ადეკვატურობის დონეს სასესხო და სავალო ფასიანი ქაღალდების კოვენანტებთან შესაბამისობაზე, რაც დაანგარიშდება კონტრაქტების მოთხოვნების შესაბამისად. ამ კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-17-მე-18 შენიშვნებში.

25. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა არსებითი მნიშვნელობის არის ბიზნესისთვის და ასევე არსებით ელემენტს წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფის ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების დაწესება, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას.

სამეთვალყურეო საბჭოს მის კომიტეტებთან ერთად აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა რისკის მართვის სტრუქტურის მიმოხილვაზე, მნიშვნელოვანი რისკების მართვის მიმოხილვასა და თავისი რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე, ასევე მნიშვნელოვანი მსხვილი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს რისკების მართვის კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტი პასუხს აგებენ რისკის შემსუბუქების ღონისძიებების გაკონტროლებასა და განხორციელებაზე, ასევე იმის დამტკიცებაზე, რომ ჯგუფი ფუნქციონირებს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. ის პირდაპირ აღმასრულებელი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, პორტფელურ და საოპერაციო დონეებზე, იმართება და კონტროლირდება საკრედიტო კომიტეტების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სისტემებით. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ჯგუფი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განცალკევებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის სფეროში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფს აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მიმდინარე მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სესხზე განაცხადების დაფინანსების ან უარყოფის შესახებ. კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სისწორე არის იმ საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ავსებს საკრედიტო განაცხადს მას შემდეგ, რაც განხორციელდება განმცხადებლის ბიზნესის შემოწმება და საკრედიტო რისკების შეფასება, საკრედიტო ქულების მოდელის და განაცხადების მონაცემების შემოწმების პროცედურების შემოწმების გზით. საბოლოოდ საკრედიტო კომიტეტის წევრები აფასებენ განაცხადებს დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ საკრედიტო ოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების ხელმძღვანელობისთვის მიწოდებას. სესხების რეგულარულ მონიტორინგს ასევე ახორციელებს მონიტორინგის დეპარტამენტი. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის ყოველთვიურად მიწოდების გზით. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი გარანტიების მიღებით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ვასდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ, საკრედიტო კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს კრედიტორები ან დაკავშირებული კრედიტორების ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აჭარბებს მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობის 10%-ს.

პორტფელის სეგმენტებად დაყოფა

პორტფელის სეგმენტებად დაყოფის მიზნისათვის, პორტფელის ჯგუფების რისკების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, პორტფელი იყოფა ჯგუფად პროდუქტის ტიპების მიხედვით: მიკრო ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, სამომხმარებლო, განვადება და სალომბარდო სესხები. ვინტაჟ-ანალიზი და დეფოლტის განაკვეთის ანალიზი ტარდება იდენტიფიცირებული სეგმენტების ერთგვაროვნების

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

უზრუნველყოფის მიზნით. დეფოლტის ალბათობა დაანგარიშდება განცალკევებით, ზემოთ ხსენებული თითოეული ჯგუფისთვის.

კლიენტის დაქვემდებარება დამატებით იყოფა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ სესხებად, რადგან ეს ორი სხვადასხვა მახასიათებლებით ხასიათდება და განსხვავებული რისკის მატარებლები არიან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყის ეტაპზე დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისობაშია და ხელმისაწვდომია დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე - თვისებრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, ასევე საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშგების თარიღში დარჩენილი ვადის დეფოლტის ალბათობა; დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების საწყისი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.
- საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული.

ჯგუფი ახორციელებს იმ კრიტერიუმის ეფექტურობის მონიტორინგს, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიკაციისთვის რეგულარული შემოწმების გზით იმის დასადასტურებლად, რომ:

- კრიტერიუმი არის სწორად შემუშავებული მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენისთვის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიმართულებით, სანამ დაფიქსირდება დეფოლტი;
- კრიტერიუმი არ განიხილავს იმ მომენტს, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12-თვიან და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობებს შორის.

დეფოლტის განმარტება

ჯგუფი დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში აღიარებს:

- ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურირებულია >90 დღე
- კლიენტის გარდაცვალება
- ფორს-მაჟორული ვითარება, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუნარი გარე ფაქტორების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კონტროლს
- სალომბარდო დეფოლტის ზღვარია >30 დღის ვადაგადაცილება

დეფოლტის განმარტება შეესაბამება სათანადო რეგულაციებს, ზღვრული 90-დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ის სესხები, რომლებზეც ჯგუფმა აღიარა დეფოლტი, ითვლება გაუფასურებულ სესხებად.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს ორივე შემთხვევაში: ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, და ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას.

ჯგუფმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი დრავერების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება პორტფელისთვის განვლილი მონაცემების ანალიზის გამოყენებით. მან შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობაზე და ანაზღაურების განაკვეთზე. ანალიზში გამოყენებული იყო შემდეგი მაკრო-ეკონომიკური ცვლადი მონაცემები:

- საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის განაკვეთი;
- ინფლაციის ტემპი;
- მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი;
- ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც გამოყენებულია 2023 წლის 30 ივნისსა და 2022 წლის 31 დეკემბერს, 2023-დან 2025 წლამდე პერიოდისთვის საქართველოში:

	2023	2024	2025
მშპ-ის ზრდა			
საბაზისო სცენარი	4.0	5.5	5.0
ოპტიმისტური სცენარი	6.0	5.0	5.0
პესიმისტური სცენარი	2.0	4.0	5.0
ინფლაციის ტემპი			
საბაზისო სცენარი	5.3	3.1	3.0
ოპტიმისტური სცენარი	5.0	3.0	3.0
პესიმისტური სცენარი	9.0	6.0	3.0
მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი			
საბაზისო სცენარი	9.6	8.0	7.2
ოპტიმისტური სცენარი	8.5	7.0	7.0
პესიმისტური სცენარი	13.5	10.5	7.5
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი			
საბაზისო სცენარი	320.8	320.8	320.8
ოპტიმისტური სცენარი	325.6	325.6	325.6
პესიმისტური სცენარი	288.7	297.4	306.3

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, განისაზღვრება ორგანიზაციის შიგნით შემუშავებული სტატისტიკური მოდელებიდან და სხვა ისტორიული მონაცემიდან. ისინი კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, ზემოთ აღწერილი წესით.

დეფოლტის ალბათობა (PD)

კოქსის მოდელი ცნობილი სტატისტიკური კონცეფციაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გადარჩენის ანალიზში და წარმოადგენს არსებობის მანძილზე მონაცემების სტატისტიკის სფეროს. პროცენტის ცვლადი მონაცემი წარმოადგენს მოვლენის წარმოშობის დროს. ის ჩვეულებრივ გამოიყენება სამედიცინო მედიკამენტების კვლევასა და საინჟინრო საქმეში საიმედოობის შესწავლისას. საკრედიტო რისკის შემთხვევაში, სადავო მოვლენა არის დეფოლტი.

როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პარაგრაფში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოიყენება PD (დეფოლტის ალბათობა), CPD-ის (დეფოლტის ერთობლივი ალბათობა) გამოყენებით. ორივე პარამეტრის მიღება მარტივად შეიძლება თითოეული დაქვემდებარებისთვის დაანგარიშებული საფრთხეების ფუნქციებიდან.

გადარჩენის მოდელის გამოყენების შედეგად, ადგილი აქვს ძველი მოდელიდან გადასვლას, მხოლოდ ვადაგადაცილების ახალ მოდელში ინდივიდუალურ შეფასებაზე მიგრაციის საფუძველზე. გამოყენებით ფაქტორებთან ერთად, ქცევითი ფაქტორები ემატება ახალ მოდელს, რომელიც ახდენს ამ მიდგომის განვითარების პოტენციალის გამოვლინებას დეფოლტის ალბათობის შეფასებაში.

დეფოლტის ალბათობის მოდელის სრული პროცედურის შეფასება ხუთ ძირითად ეტაპს მოიცავდა:

- მონაცემების მომზადება და კანდიდატების შერჩევა განმარტებითი ცვლადი მონაცემებისთვის.
- ერთჯერადი ანალიზი.
- მრავალფაქტორიანი ანალიზი.
- თანხვედრების შეფასება კოქსის პროპორციული რისკის მოდელში.
- ხარისხის და ისტორიული მონაცემების შეფასება.

ძირითადი დაშვებები და სეგმენტაცია

მოდელირების მიზნებისთვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- მოქმედად ჩაითვალა თითოეული დავალიანების მხოლოდ პირველი დეფოლტი (ე.ი. დანარჩენი მონაცემები დეფოლტის დადგენის შემდეგ ჩამოიჭრა)
- პირველი დაკვირვების თარიღში ყველა ვადაგადაცილებული დავალიანება გამორიცხულია ნიმუშიდან

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

- დეფოლტი განისაზღვრა ორი კრიტერიუმის მიხედვით: ვადაგადაცილებული დღეები და ჩამოწერის სტატუსი
- ვადებში მყოფი სესხის ყოველი წარმოშობა მიიჩნეოდა ცალკე დაკვირვების საგნად

მოდელირება დაეფუძნა პროდუქტის ჯგუფის სეგმენტაციას, რომელიც სესხებს გამიჯნავს სტანდარტული მახასიათებლების მიხედვით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ჯგუფი აფასებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტირებული კონტრაქტების მოთხოვნების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. LGD დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD):

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ჯგუფი ანგარიშობს EAD-ს კონტრაქტის მიმდინარე დაქვემდებარებიდან და ხელშეკრულებით დაშვებული მიმდინარე თანხის პოტენციური ცვლილებიდან, ამორტიზაციის ჩათვლით. ფინანსური აქტივის EAD არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	1-ლი სტადია		მე-2 სტადია		მე-3 სტადია		მოსალო- დნელი საკრედიტ ო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
	12- თვიანი მოსალოდნე ლი	საკრედიტო ზარალი - არა	მანძილზე მოსალოდნე ლი	არსებობის მანძილზე მოსალოდნ ელი	საკრედიტ ო ზარალი - საკრედიტ ო	სულ მოსალოდ ნელი საკრედიტ ო	
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით: სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	მთლიანი სესხები	საკრედიტო ზარალი	გაუფასურებ ული	გაუფასურ ებული	ზარალი	წმინდა სესხები	
ვადაგადაუცილებელი	43,241	(215)	(819)	(761)	(1,795)	41,446	4%
1-დან 30 დღემდე	491	-	(41)	(56)	(97)	394	20%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	87	-	(18)	-	(18)	69	21%
61-დან 90 დღემდე	77	-	(28)	(3)	(31)	46	40%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	417	-	-	(224)	(224)	193	54%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	44,313	(215)	(906)	(1,044)	(2,165)	42,148	5%
იპოთეკური სესხები							
ვადაგადაუცილებელი	19,072	(45)	(135)	(20)	(200)	18,872	1%
1-დან 30 დღემდე	170	-	(6)	(5)	(11)	159	6%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	12	-	(2)	-	(2)	10	17%
61-დან 90 დღემდე	9	-	(5)	-	(5)	4	56%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	52	-	-	(23)	(23)	29	44%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ იპოთეკური სესხები	19,315	(45)	(148)	(48)	(241)	19,074	1%

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

სასოფლო-სამეურნეო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	91,571	(3,055)	(954)	(733)	(4,742)	86,829	5%
1-დან 30 დღემდე	997	(9)	(146)	(142)	(297)	700	30%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	551	-	(143)	(75)	(218)	333	40%
61-დან 90 დღემდე	361	-	(116)	(40)	(156)	205	43%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	945	-	-	(576)	(576)	369	61%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ სასოფლო-სამეურნეო სესხები	94,425	(3,064)	(1,359)	(1,566)	(5,989)	88,436	6%
მიკრო ბიზნეს-სესხები							
ვადაგადაუცილებელი	100,869	(709)	(409)	(450)	(1,568)	99,301	2%
1-დან 30 დღემდე	1,190	(3)	(64)	(120)	(187)	1,003	16%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	575	-	(63)	(28)	(91)	484	16%
61-დან 90 დღემდე	649	-	(149)	(67)	(216)	433	33%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	1,639	-	-	(903)	(903)	736	55%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ მიკრო ბიზნეს-სესხები	104,922	(712)	(685)	(1,568)	(2,965)	101,957	3%
განვადებები							
ვადაგადაუცილებელი	46,255	(103)	(6)	(10)	(119)	46,136	0%
1-დან 30 დღემდე	313	-	(3)	(3)	(6)	307	2%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	140	-	(6)	(1)	(7)	133	5%
61-დან 90 დღემდე	186	-	(16)	(4)	(20)	166	11%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	633	-	-	(141)	(141)	492	22%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ განვადებები	47,527	(103)	(31)	(159)	(293)	47,234	1%
სალომზარდო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	19,635	-	(1)	(75)	(76)	19,559	0%
1-დან 30 დღემდე	352	-	-	(13)	(13)	339	4%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	22	-	-	(7)	(7)	15	32%
61-დან 90 დღემდე	1	-	-	-	-	1	0%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ სალომზარდო სესხები	20,010	-	(1)	(95)	(96)	19,914	0%

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

სამომხმარებლო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	74,784	(276)	(227)	(348)	(851)	73,933	1%
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	1,311	(2)	(73)	(67)	(142)	1,169	11%
31-დან 60 დღემდე	605	-	(60)	(37)	(97)	508	16%
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	429	-	(122)	(30)	(152)	277	35%
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,215	-	-	(656)	(656)	559	54%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%
სულ სამომხმარებლო სესხები	78,344	(278)	(482)	(1,138)	(1,898)	76,446	2%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	408,856	(4,417)	(3,612)	(5,618)	(13,647)	395,209	3%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1-ლი სტადია		მე-2 სტადია		მე-3 სტადია		სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი - არა ული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა ული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა ული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები		
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:								
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის								
ვადაგადაუცილებელი	43,364	(217)	(846)	(851)	(1,914)	41,450	4%	
1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	294	-	(25)	(46)	(71)	223	24%	
31-დან 60 დღემდე	148	-	(11)	(29)	(40)	108	27%	
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	233	-	(47)	(20)	(67)	166	29%	
91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	736	-	-	(381)	(381)	355	52%	
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	0%	
სულ მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	44,775	(217)	(929)	(1,327)	(2,473)	42,302	6%	

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

იპოთეკური სესხები							
ვადაგადაუცილებელი	22,387	(67)	(117)	(132)	(316)	22,071	1%
1-დან 30 დღემდე	59	-	-	(2)	(2)	57	3%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	5	-	(2)	-	(2)	3	40%
61-დან 90 დღემდე	13	-	(7)	-	(7)	6	54%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	25	-	-	(14)	(14)	11	56%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ იპოთეკური სესხები	22,489	(67)	(126)	(148)	(341)	22,148	2%
სასოფლო-სამეურნეო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	79,301	(2,928)	(918)	(1,059)	(4,905)	74,396	6%
1-დან 30 დღემდე	556	(1)	(96)	(33)	(130)	426	23%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	411	-	(89)	(62)	(151)	260	37%
61-დან 90 დღემდე	452	-	(102)	(63)	(165)	287	37%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	1,235	-	-	(740)	(740)	495	60%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ სასოფლო-სამეურნეო სესხები	81,955	(2,929)	(1,205)	(1,957)	(6,091)	75,864	7%
მიკრო ბიზნეს-სესხები							
ვადაგადაუცილებელი	91,543	(706)	(376)	(474)	(1,556)	89,987	2%
1-დან 30 დღემდე	619	(1)	(41)	(55)	(97)	522	16%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	436	-	(46)	(37)	(83)	353	19%
61-დან 90 დღემდე	463	-	(110)	(24)	(134)	329	29%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	1,535	-	-	(829)	(829)	706	54%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ მიკრო ბიზნეს-სესხები	94,596	(707)	(573)	(1,419)	(2,699)	91,897	3%
განვადებები							
ვადაგადაუცილებელი	46,083	(131)	(8)	(6)	(145)	45,938	0%
1-დან 30 დღემდე	274	-	(4)	(2)	(6)	268	2%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	170	-	(9)	(2)	(11)	159	6%
61-დან 90 დღემდე	230	-	(24)	(5)	(29)	201	13%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	814	-	-	(180)	(180)	634	22%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ განვადებები	47,571	(131)	(45)	(195)	(371)	47,200	1%

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

სალომბარდო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	35,505	-	(2)	(89)	(91)	35,414	0%
1-დან 30 დღემდე	424	-	-	(26)	(26)	398	6%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	77	-	-	(22)	(22)	55	29%
61-დან 90 დღემდე	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ სალომბარდო სესხები	36,006	-	(2)	(137)	(139)	35,867	0%
სამომხმარებლო სესხები							
ვადაგადაუცილებელი	72,756	(321)	(217)	(311)	(849)	71,907	1%
1-დან 30 დღემდე	749	-	(32)	(65)	(97)	652	13%
ვადაგადაცილება							
31-დან 60 დღემდე	408	-	(64)	(24)	(88)	320	22%
61-დან 90 დღემდე	316	-	(100)	(14)	(114)	202	36%
ვადაგადაცილება							
91-დან 180 დღემდე	936	-	-	(500)	(500)	436	53%
ვადაგადაცილება							
180 დღეზე მეტი	-	-	-	-	-	-	0%
ვადაგადაცილება							
სულ სამომხმარებლო სესხები	75,165	(321)	(413)	(914)	(1,648)	73,517	2%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	402,557	(4,372)	(3,293)	(6,097)	(13,762)	388,795	3%

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული 6-თვიანი პერიოდისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა მომხმარებლებზე გაცემულ კონკრეტულ სესხებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ყველა ამგვარი სესხი სულ მცირე მე-2 ეტაპზე გადავიდა, რომლის ზარალის რეზერვი შეფასდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. შესაბამისად, მე-2 ან მე-3 სტადიიდან 1-ლზე გადასული შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მქონე სესხები არ არსებობს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

უზრუნველყოფის საგნისა და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის ანალიზი, გაუფასურების გამოკლებით.

	2023 წლის 30 ივნისი	% სასესხო პორტფელი	2022 წლის 31 დეკემბერი	% სასესხო პორტფელი
უზრუნველყოფის გარეშე	301,309	76%	291,728	75%
უზრუნველყოფილი	93,900	24%	97,067	25%
სულ	395,209	100%	388,795	100%

	2023 წლის 30 ივნისი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2023 წლის 30 ივნისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2023 წლის 30 ივნისი საბალანსო ღირებულება	2023 წლის 30 ივნისი უზრუნველყოფი ს სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	64,212	(2,846)	61,366	214,060
ძვირფასი ლითონები	10,458	(18)	10,440	12,473
მომრავი ქონება	22,420	(326)	22,094	41,211
უზრუნველყოფის გარეშე	311,766	(10,457)	301,309	-
სულ	408,856	(13,647)	395,209	267,744

	2022 წლის 31 დეკემბერი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი უზრუნველყოფი ს სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	66,286	(3,377)	62,909	219,936
ძვირფასი ლითონები	16,712	(22)	16,690	19,668
მომრავი ქონება	17,763	(295)	17,468	32,945
უზრუნველყოფის გარეშე	301,796	(10,068)	291,728	-
სულ	402,557	(13,762)	388,795	272,549

სესხების უზრუნველყოფას მეტწილად უძრავი ქონება, მოძრავი ქონება და ძვირფასი ლითონები წარმოადგენს. ამასთან სესხების უმრავლესობა თავდებობით არის უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფილი სესხები უმეტესად მოიცავს სალომბარდო, მომსახურების, სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სესხებს.

ხელმძღვანელობის შეფასებით, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება სესხის დაწყებისას სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას უდრის, 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზედმეტი თავდებობის ეფექტის გამოკლებით. დაბალი სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის გამო, ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ შესაძლო ნეგატიურ მოძრაობას საბაზრო ფასებში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სესხების ამოღებადობაზე.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ფიზიკური პირებისგან მიღებული თავდებობები არ გათვალისწინდება გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის. შესაბამისად, ასეთი სესხები და ნაწილობრივ უზრუნველყოფილი დავალიანებების არაუზრუნველყოფილი ნაწილი წარმოდგენილია, როგორც სესხები უზრუნველყოფის გარეშე.

დასაკუთრებული აქტივები სხვა აქტივებშია წარმოდგენილი. იხილეთ მე-16 შენიშვნა.

სესხის დაფარვის ვადები

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადა მოცემულია ქვემოთ, რომელიც აჩვენებს სესხების სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საანგარიშგებო თარიღიდან დარჩენილ პერიოდს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის საერთო და კონკრეტული ცვალებადობა და ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის დონეში.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

საბაზრო რისკზე მთლიანი უფლებამოსილება ვრცელდება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტზე.

ჯგუფი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. ისინი რეგულარულად კონტროლდება და გადაიხედება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რაც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთების გეპ-ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ძირითადად ხდება საპროცენტო განაკვეთების გეპების მონიტორინგით. საპროცენტო ინტერვალის პოზიციის მიმოხილვა წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის მიღების თარიღსა და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადას შორის უმცირესით:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენ- ტო	საბალანსო ღირებუ- ლება
2023 წლის 30 ივნისი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,475	-	-	-	-	21,385	33,860
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	91,254	59,742	79,354	162,505	2,354	-	395,209
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	111	343	655	11,099	97	-	12,305
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	2,050	2,050
	103,840	60,085	80,009	173,604	2,451	23,435	443,424
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	18,083	-	-	-	-	-	18,083
ნასესხები სახსრები	31,430	32,783	65,565	196,641	2,974	-	329,393
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	520	1,041	24,764	-	-	26,325
მოზიდული თამასუქები	-	-	115	-	-	-	115
საიჯარო ვალდებულება	779	794	1,181	3,334	123	-	6,211
გადასახდელი დივიდენდები	960	-	494	-	-	-	1,454
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	11,104	11,104
	51,252	34,097	68,396	224,739	3,097	11,104	392,685
საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი	52,588	25,988	11,613	(51,135)	(646)	12,331	
საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობელობის გეპი	52,588	78,576	90,189	39,054	38,408	50,739	

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
 (ათას ლარში)

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენ- ტო	საბალანსო დირებუ- ლება
2022 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,051	-	-	-	-	21,761	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	98,341	46,808	83,835	157,477	2,334	-	388,795
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	68	142	747	8,804	80	-	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	3	8	45	928	14	2,654	3,652
	104,463	46,958	84,627	167,209	2,428	24,415	430,100
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი დირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,032	-	-	-	8,032
ნასესხები სახსრები	73,146	30,130	65,930	187,293	-	-	356,499
საიჯარო ვალდებულება	863	879	1,611	4,565	203	-	8,121
გადასახდელი დივიდენდები	-	-	997	-	-	-	997
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	12,484	12,484
	74,009	31,009	76,570	191,858	203	12,484	386,133
საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი	30,454	15,949	8,057	(24,649)	2,225	11,931	
საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობელობის გეპი	30,454	46,403	54,460	29,811	32,036	43,967	

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია პროცენტისა და აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები მიახლოებულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადამდე მიღებულ შემოსავალთან.

	2023 წლის 30 ივნისი			2022 წლის 31 დეკემბერი		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, %			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, %		
	აშშ			აშშ		
	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5.53%	1.00%	-	5.53%	1.00%	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	35.69%	20.03%	-	34.89%	18.80%	-
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	38.70%	-	-	37.97%	-	-
პროცენტის ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	14.51%	6.99%	-	15.59%	6.15%	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	16.35%	-	-	-	-	-
მოზიდული თამასუქები	14.00%	-	-	-	-	-

საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას, საპროცენტო განაკვეთის გეგმით ანალიზის საფუძველზე ემატება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობელობის მონიტორინგი. წმინდა მოგების საპროცენტო განაკვეთების მერყეობის (გადაფასების რისკი) მიმართ მგრძობელობის ანალიზი, 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტის აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
პარალელური ვარდნა 100 საბაზისო პუნქტით	(521)	(328)
პარალელური ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	521	328

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ახდენს სავალუტო რისკზე მისი დაქვემდებარების ჰეჯირებას საკომპენსაციო სესხების გამოყენებით, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ინსტრუმენტებად (იხილეთ მე-10 შენიშვნა), ამგვარი საქმიანობები არ განისაზღვრება ჰეჯირების ურთიერთობად, ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

	<u>ევრო</u>	<u>აშშ დოლარი</u>	<u>სხვა</u>	<u>სულ</u>
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,672	8,271	812	12,755
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	143	-	143
სხვა ფინანსური აქტივები	97	72	2	171
სულ აქტივები	3,769	8,486	814	13,069
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	133,881	-	133,881
საიჯარო ვალდებულება	-	5,218	-	5,218
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7	367	-	374
სულ ვალდებულებები	7	139,466	-	139,473
წმინდა პოზიცია	3,762	(130,980)	814	(126,404)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(4,413)	129,621	(2,397)	122,811
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	(651)	(1,359)	(1,583)	(3,593)

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

	ევრო	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,017	8,497	591	14,105
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	317	-	317
სხვა ფინანსური აქტივები	11	622	-	633
სულ აქტივები	5,028	9,436	591	15,055
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	144,544	-	144,544
საიჯარო ვალდებულება	-	6,783	-	6,783
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	43	-	43
სულ ვალდებულებები	-	151,370	-	151,370
წმინდა პოზიცია	5,028	(141,934)	591	(136,315)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(2,162)	136,992	-	134,830
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	2,866	(4,942)	591	(1,485)

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		სპოტ-კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის	
	6 თვე 2023	2022	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 31 დეკემბერი
	1 აშშ დოლარი	2.5973	2.9156	2.6177
1 ევრო	2.8069	3.0792	2.8591	2.8844

ვალუტებთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება-ზარალს შემდეგი თანხებით გაზრდიდა (შემცირებდა): ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც, ჯგუფის აზრით, მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	6 თვე 2023	2022
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება ლარის მიმართ	(109)	(420)
ევროს 10%-ით გამყარება ლარის მიმართ	(52)	244

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებული ვალუტების მიმართ 2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბერს თანაბარი უკუ ეფექტი ექნებოდა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენები თანხებით, ყველა სხვა ცვლადი მონაცემის უცვლელად შენარჩუნების საფუძველზე.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)**

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა საფინანსო დაწესებულებებისთვის ურვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ახორციელებს ლიკვიდობის მართვას ფონდებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერ დროს, რათა მოხდეს ვადადამდგარი ყველა სახის ფულადი ვალდებულების გათვალისწინება. ლიკვიდობის პოლიტიკას გადახედავენ და ამტკიცებენ აღმასრულებელი და სამეთვალყურეო საბჭოები.

ჯგუფი უზრუნველყოფს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსირების აქტიურ მხარდაჭერას სხვა ბანკებიდან და საფინანსო დაწესებულებებიდან მოკლე და გრძელ ვადიანი სესხების მიღების გზით, რასაც თან სდევს მაღალი ლიკვიდობის აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელები, იმისათვის, რომ მოხდეს სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ლიკვიდობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- მოსალოდნელი ფინანსური ნაკადის პროგნოზირებას ძირითადი ვალუტების შესაბამისად და ლიკვიდური აქტივების საჭირო დონის გათვალისწინებას მასთან ურთიერთობაში;
- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის შენარჩუნებასა და გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოქმედების გეგმის დაფინანსებას.

ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური დეპარტამენტი და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი. ბაზრის ნორმალურ პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდობის პოზიციის შესახებ კვირაში ერთხელ წარედგინება ხელმძღვანელობის რისკების მართვის კომიტეტს. ლიკვიდობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

გეოგრაფიული რისკი

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი საქართველოშია განლაგებული და მისი ბიზნეს-გეგმები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობასა და სამართლებრივ ნორმაზე. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლების გამოვლენას. როგორც ასეთი, ჯგუფი ექვემდებარება ბიზნესის ან ქვეყნის სამართლებრივი გარემოს ნებისმიერ გაუარესების რისკს.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა სულ ნასესხები სახსრები (გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისა და მოზიდული თამასუქების ჩათვლით) 214,656 ათასი ლარის,

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

101,056 ათასი ლარის, 20,377 ათასი ლარისა და 19,744 ათასი ლარის ოდენობით ევროპაში, საქართველოში, აშშ-სა და აზიაში დარეგისტრირებული კონტრაქტებისგან (შესაბამისად).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა ნასესხები სახსრები 228,008 ათასი ლარის, 102,725 ათასი ლარის და 25,766 ათასი ლარის ოდენობით ევროპაში, საქართველოსა და აშშ-ში დარეგისტრირებული კონტრაქტებისგან (შესაბამისად).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	მოთხოვნა						სულ
	მდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადაგადაც ილებული	
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,860	-	-	-	-	-	33,860
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	45,724	43,422	135,881	158,750	2,300	9,132	395,209
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	15	68	699	8,910	-	2,613	12,305
სხვა ფინანსური აქტივები	1,251	-	169	630	-	-	2,050
სულ აქტივები	80,850	43,490	136,749	168,290	2,300	11,745	443,424
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	65	18,018	-	-	-	-	18,083
ნასესხები სახსრები	2,802	28,628	98,348	196,641	2,974	-	329,393
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,561	24,764	-	-	26,325
მოზიდული თამასუქები	-	-	115	-	-	-	115
საიჯარო ვალდებულება გადასახდელი დივიდენდები	258	521	1,975	3,334	123	-	6,211
960	-	494	-	-	-	-	1,454
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,493	-	1,473	138	-	-	11,104
სულ ვალდებულებები	13,578	47,167	103,966	224,877	3,097	-	392,685
წმინდა პოზიცია	67,272	(3,677)	32,783	(56,587)	(797)	11,745	50,739

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის
(ათას ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა						სულ
	მდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადაგადაცილებული	
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,812	-	-	-	-	-	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	55,600	35,109	130,643	157,477	2,334	7,632	388,795
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	13	37	810	7,841	80	1,060	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	1,942	1	50	1,564	14	81	3,652
სულ აქტივები	85,367	35,147	131,503	166,882	2,428	8,773	430,100
ვალდებულებები							
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,032	-	-	-	8,032
ნასესხები სახსრები	7,402	65,744	96,060	187,293	-	-	356,499
საიჯარო ვალდებულება გადასახდელი დივიდენდები	284	579	2,490	4,565	203	-	8,121
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	997	-	-	-	997
სულ ვალდებულებები	17,527	66,338	110,154	191,911	203	-	386,133
წმინდა პოზიცია	67,840	(31,191)	21,349	(25,029)	2,225	8,773	43,967

26. შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა მიიღო შემდეგი დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ:

- 2023 წლის ივლისში ჯგუფმა გააფორმა 5,000 ათასი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება „Triodos Investment Management B.V.“-სთან.

2023 წლის ივლისში ჯგუფმა სრულად გასცა პრივილეგირებული აქციონერებისთვის 2022 წლისთვის გამოცხადებული დივიდენდები 997 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის ივლისში „Fitch Ratings“-მა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მოლოდინი ჯგუფის გრძელვადიან საკრედიტო პოზიციაზე სტაბილურიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესდა. შედეგად, მიმდინარე საკრედიტო რეიტინგია B- “Positive” Outlook.

სოციალური გავლენის კვლევა - მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზანი:

შევაფასოთ სესხის ზეგავლენა მომხმარებლების 1. ცხოვრების ხარისხზე, 2. ბიზნესზე, 3. სტრესის დონესა და 4. თვითაღქმაზე.

მეთოდოლოგია:

რაოდენობრივი კვლევა - სატელეფონო გამოკითხვა

თვისებრივი კვლევა - სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები

არეალი: საქართველო

რესპონდენტთა რაოდენობა:

სატელეფონო გამოკითხვა - 288 რესპონდენტი

სიღრმისეული ინტერვიუები - 10 რესპონდენტი

ფოკუსური დისკუსიები - 4 ჯგუფი

ძირითადი მიგნებები

1. სესხის გავლენა ცხოვრების ხარისხზე - ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

- კრისტალის სესხმა მომხმარებლების ცხოვრების ხარისხზე ცალსახად დადებითი ზეგავლენა იქონია. თვისებრივი კვლევის მონაცემით, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მთავარ ინდიკატორად სწორედ საკუთარი მიზნებისა და სურვილების რეალიზებას ასახელებდნენ. ამ პროცესში კი „კრისტალის“ როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს ხსნის იმ ფაქტს თუ რატომ დაადასტურა რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში რესპონდენტების 86%-მა, რომ სესხის აღების შემდეგ მათი ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა. მათ საკუთარ მიზანს მიაღწეს, რასაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებად აღიქვამენ.

„ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე კარგი, საუკეთესო რაც მოხდა ეს არის კრისტალის დამსახურება. რაღაცა შევძელი, ძალიან კარგ ადგილას სახლი ავაშენე, ძალიან ლამაზი რესტორანი მაქვს არის კრისტალის დამსახურება, ეს არის ფაქტი.“ (ქუთაისი, ქალი)

„მშვენიერი ზეგავლენა იქონია, ჩემი საქმე გავაკეთე არც უპრაკუნოდ დამიხარჯია ეგ ფული გამოვიყენე და 80% გავაკეთე რაც მინდოდა.“ (დუშეთი, კაცი)

- ის მომხმარებლები, რომლებმაც „კრისტალის“ სესხი შემოსავლების გაზრდის მიზნით გამოიყენეს, სესხის გავლენას ცხოვრების ხარისხზე გაცილებით უფრო პოზიტიურად

ავასებდნენ(45%), ვიდრე ის მომხმარებლები, რომლებმაც სესხი მხოლოდ სამომხმარებლო მიზნით გამოიყენეს(20%).

„სამშენებლო სარემონტო ხელსაწყოები შევიძინე. დადებითი ზეგავლენა იქონია, არა მქონდა იმედი რომ მეყიდა და დამიმტკიცეს. შემოსავალი გამიზარდა. ნივთებს ვიყენებ და ვმუშაობ“. (გორი, კაცი)


„მე რაც მინდოდა, სესხი რისთვისაც მინდოდა იმაში გამოვიყენე ... შემოსავალმა გადააჭარბა, რა თქმა უნდა, იმ თანახმად, რასაც ბანკს ვუხდი“ (თბილისი, ქალი)

- საკმაოდ მცირე ნაწილმა 1%-მა სესხის გავლენა ცხოვრების ხარისხზე საკმაოდ უარყოფითად შეაფასა. ეს სეგმენტი აღნიშნავდა რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკონომიის გაკეთება უხდებოდა.

„ცუდი ისაა, რომ გადახდა რომ მოგიწევს თვის ბოლოს მერე ფაქტიურად არ გრჩება გადაიხადო ან იყიდო ტანსაცმელი ან გახვიდე ქალაქგარეთ ან რესტორანში დაჯდე ან ერთი დღე გამოიხარო მეგობრებთან“ (ზუგდიდი, ქალი)

„ხარჯების შემცირება ცოტა მომიწია. ბიუჯეტი აღარ არის სახლში, რაღაც უნდა მოიკლო რომ იქ დარღვევა არ გააკეთო და საქმე არ გაიფუჭო“. (გორი, კაცი)

ცხოვრების ხარისხი




2. სესხის გავლენა ბიზნესზე - კრისტალის სესხმა ბიზნეს-შემოსავლების ზრდა განაპირობა

- იმ რესპონდენტების 70%-ს, რომელმაც სესხი ბიზნეს მიზნისთვის გამოიყენეს, „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ ბიზნეს-შემოსავლები გაეზარდათ. აღსანიშნავია, რომ ისინი საკუთარ ბიზნესზე საუბრისას კრისტალის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას საკუთარი წარმატებების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავენ.

„(ბიზნესმა)შემოსავლები გამიზარდა...მივმართე და თანხა მალე ავიღე რა თქმა უნდა კრისტალს დიდი წვლილი მიუძღვის.“ (ქობულეთი, კაცი)

„გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, ვიყიდე ხელსაწყოები, რაც იყო შესაკეთებელი შევაკეთე. ამან შემოსავალიც გამიზარდა.“ (რუსთავი, კაცი)



3. სესხის გავლენა თვითაღქმაზე - განსაკუთრებულად დადებითი ზეგავლენა იქონია ქალების სეგმენტზე

როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი კვლევის მიხედვით, სესხის არსებობა მომხმარებლის პიროვნულ მახასიათებლებზე ზეგავლენას ახდენს:


1. მომხმარებლების 57%-მა აღნიშნა, რომ „კრისტალიდან“ სესხის აღების შემდეგ უფრო მეტად თავდაჯერებული გახდნენ
2. 78%-მა დაადასტურა რომ „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ შესაძლებლობა რომ საკუთარ მიზანს მიაღწიოს უფრო გაუმჯობესდა.
3. რესპონდენტების 40% ფინანსურ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად უფრო ხშირად იღებს.

რადგანაც სესხი უკავშირდება პასუხისმგებლობას, გარკვეული სირთულეების გადალახვას და ვალდებულების შესრულებას, ეს ზეგავლენას ახდენს საკუთარი შესაძლებლობების გააზრებაზე. ეს ტენდენცია უფრო მეტად ქალების შემთხვევაში გამოიკვეთა. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, ქალების 44%(კაცების 34%) ახლა უფრო დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს, 58%-ს(კაცების 55%-ს) თვითმეფასება უფრო გაეზარდა, ხოლო, 40%-მა(კაცების 28%-მ) აღნიშნა, რომ „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაუმჯობესდა.

„მე გამეზარდა თვით შეფასება, იმიტომ,რომ რაღაცნაირად რომ ვიხდი ამ სესხს ვარ ამაყი... რაღაცნაირად მომწონს ის რომ მე ვახერხებ ამ ყველაფერს ჩემით, მარტო და არავის დახმარების გარეშე.“ (ქუთაისი, ქალი)

„იმედი მაქვს უკვე საკუთარი თავის. შევიცვალე, პასუხისმგებლობა რომ მაკისრია უნდა გადავიხადო. უფრო აქტიური გავხდი, სიძლიერისკენ წავედი. გადახდა უნდა მაგ ყველაფერს, უფრო მეტი უნდა იმუშავო და გამოიმუშაო. უფრო მეტად დარწმუნებული გავხდი საკუთარ თავში.“ (გორი, ქალი)

პიროვნული მახასიათებლები




4. სესხის გავლენა სტრესის დონეზე - მომხმარებლების 30%-ს სტრესის დონე შეუმცირდა

- რესპონდენტების 30%-მა დაადასტურა რომ კრისტალთან თანამშრომლობის შემდეგ ფინანსებზე ნაკლებად ნერვიულობს. ამის მიზეზად კი შემოსავლებისა და ფინანსების მოძიების შესაძლებლობის ზრდას ასახელებენ.


„არანაირ სტრესს არ ვგრძნობ და არ განვიცდი. პირიქით, იმიტომ რომ ადრე რასაც ვერ შევიძენდი და ვერ გავაკეთებდი ფინანსების გამო ახლა შემიძლია ყოველწლიურად ვისარგებლო, თუნდაც განვადებით, თუნდაც სხვა ტიპის სესხით.“ (გორი, ქალი)

- მომხმარებელთა 15% „კრისტალის“ სესხს, განიხილავს როგორც ტვირთს, რომელიც თავისთავად სტრესთან და დამაბულობასთან არის დაკავშირებული. ეს გამოწვეულია 1. სესხის დაფარვასთან დაკავშირებული დამაბულობით 2. ეკონომიური ხარჯვით 3. ჯანდაცვის ხარჯების დაფარვის სირთულითა და 4. პროცენტში გადახდილი თანხა.

ფინანსებზე ნერვიულობის დრო



„კრისტალის“ სესხის აღქმა



„არის ხოლმე, რომ არა მაქვს ეს თანხა და ეს მოძიების მომენტი ძალიან სტრესულია ჩემთვის. (თბილისი, ქალი)

„[სტრესი] გაიზარდა იმის გამო, რომ სამედიცინო სფეროს თითქმის ვერ ვეხებით. ეხლა იძულებული ვავხდი რაღაცეებზე მემკურნალა და ისეთ თანხებთან არის დაკავშირებული რომ უბრალოდ ძან რთულია ფინანსურად.“ (წყალტუბო, ქალი)

„სტრესი ის არის, რომ გული მისკდება, მახსენდება ჩემს ამხელა თანხაში ისეთი პატარა მიდის ძირზე და ამხელა თანხა მიაქვს პროცენტს. აი მაგაზე ვნერვიულობ და სტრესი მაქვს.“ (თბილისი, ქალი)

5. დევნილები - სტრესს უფრო ნაკლებად განიცდიან და უფრო ხშირად აბანდებენ ბიზნესში.

თვისებრივი კვლევით დევნილ და ადგილობრივ რესპონდენტების სამომხმარებლო ქცევებს შორის გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა, რაც განპირობებულია მათი წარსული გამოცდილებით, რაც უკავშირდება 1992-1993 წლებისა და 2008 წლის ომს.

- გამოვლინდა ტენდენცია რომ ადგილობრივ მომხმარებლებთან შედარებით, დევნილები სესხს სტრესის მაპროვოცირებელ ფაქტორად უფრო ნაკლებად მიიჩნევენ. ისინი ძირითადად აღნიშნავენ, რომ სტრესის დონე შემცირდა ან საერთოდ არ შეცვლილა. რადგანაც, ერთი მხრივ, ისინი ბევრად უფრო დიდი სიძნელების წინაშე დადგნენ და გადალახეს, მათთვის სესხი აღარ წარმოადგენს სტრესის განმსაზღვრელ ტრიგერს; ხოლო, მეორე მხრივ, დევნილებმა ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით სესხი ბიზნესში დააბანდეს, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სტრესს ნაკლებად განიცდიან.
- გამოვლინდა ტენდენცია რომ დევნილები უპირატესობას სახლში დაზოგვას ანიჭებენ, ხოლო, ადგილობრივები - ანაბარზე. ამას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ომთან დაკავშირებული გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, დევნილის დახმარების დაკარგვის რისკი, რაც რესპონდენტების აზრით, შესაძლოა ანაბრის გახსნამ გამოწვიოს.

„2008-ში ომის დროს ვერ გამოქონდათ თანხა, პირველი, მეორე, მესამე დღე და მერე გაიყინა. მართალია მერე კი ჩვეულებრივად აღდგა, მაგრამ რამე, რომ გაგრძელებულიყო ეს თანხაც უკვე დაკარგული იყო. მე თუ დანაზოგი გავაკეთე შევინახავ სახლში.“ (თბილისი, ქალი)

6. SDG მიზნები

სიღარიბის აღმოფხვა - მომხმარებლების 86%-ის აღქმით ცხოვრების ხარისხი „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ მნიშვნელოვნად ან ოდნავ მაინც გაუმჯობესდა.

ხარისხიანი განათლება - „კრისტალის“ მიერ ჩატარებული ტრენინგები ადამიანებს საშუალებას აძლევს პროფესიულად განვითარდნენ.

„ძალიან მომეწონა. ბევრმა ისარგებლა მართლა, დაწყებებს თუნდაც ფსიქოლოგიურადაც დაეხმარნენ, მოტივაციაც მისცეს, დაატრენინგეს. ბაზ ჯორჯას ტრენინგებიც, როგორც ვიცი კრისტალის თანადგომითაც იყო და ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ.“ (ქალი, ზუგდიდი)

გენდერული თანასწორობა - „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ ქალი რესპონდენტების 44% ფინანსურ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად უფრო ხშირად იღებს; ქალების 40%-მა დაადასტურა, რომ მათთვის მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაუმჯობესდა, ხოლო, 58% უფრო თვითდაჯერებული გახდა, რასაც, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, განაპირობებს, ერთი მხრივ, „კრისტალის“ ნდობა და ამ ნდობის გამართლება, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობა, რომ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა გაიმჯობესონ.

ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია - მართალია, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მიმართ ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია, თუმცა, „კრისტალი“ ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციას სწორედ „კრისტალის“ მიერ მიწოდებული ბუკლეტებით ფლობს. უფრო მეტიც, ისინი სამომავლოდ ამ კუთხით „კრისტალთან“ თანამშრომლობასაც კი გეგმავენ.

ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა - „კრისტალთან“ თანამშრომლობით იმ მომხმარებლების 70%-ს, რომლებმაც სესხი ბიზნეს მიზნისთვის გამოიყენეს, ბიზნესიდან შემოსავლები გაეზარდათ. მომხმარებლებმა შეძლეს სამუშაო პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ერთი მხრივ, დანადგარების/ტექნიკის(24%) შეძენით მათი სამუშაო პროცესი ბევრად უფრო სწრაფი და მარტივი გახდა, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერიერის გარემონტებითა(10%) და ავეჯის შეძენით სამუშაო გარემო უფრო სასიამოვნო გახადეს; ამასთან, საქონელისა (22%) და ფერმისთვის საჭირო რესურსის ყიდვით(37%) სოფლის მეურნეობა გააფართოვეს.

შემცირებული უთანასწორობა - რესპონდენტების 45%-ს არ ჰქონდა წვდომა ისეთ სესხებზე, როგორსაც „კრისტალი სთავაზობთ“. ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობას ვერ ახერხებდნენ, „კრისტალმა“ კი ამის შესაძლებლობა მისცათ, რამაც საბოლოოდ მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ბიზნესის განვითარება განაპირობა.

„მე არ ვიცი, ნათესავს არ გაუკეთებია ასეთი სიკეთე კრისტალმა რომ გამიკეთა...მე ძალიან მომწონს თქვენთან ურთიერთობა(ქუთაისი, ქალი).“

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ACCA სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია

AFD საფრანგეთის განვითარების სააგენტო

ALCO აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი

AML ფულის გათეთრების საწინააღმდეგო

BARTA საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო

CAR კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი

CO2 ნახშიროჟანგი

DFC აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (ყოფილი OPIC)

DWM მსოფლიო ბაზრის განვითარება

E&S გარემოსდაცვითი და სოციალური

ESG გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი

HR ადამიანური რესურსები

ROA უკუგება აქტივებზე

ROE უკუგება საკუთარ კაპიტალზე

SIDA შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

MSME მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო

USAID აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

მისო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

სს სააქციო საზოგადოება

შპს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია